



ტელევიზია - ეს ის ადგილია, სადაც იქმნება საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები, იგი საკმაოდ ეფექტური ფორმებით ახერხებს საზოგადოებაზე მანიპულირებას. მედიამ მაყურებლის წინაშე ობიექტური რეალობა უნდა ასახოს. ეს გასართობ შოუებსაც ეხება, ისინი ქმნიან სანახაობას, ემოციურ მუხტს, რომლებსაც გადამდები ეფექტი აქვს. მაყურებელი ეკრანიდან წამოსულ ინფორმაციას ზოგჯერ კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე აღიქვამს, მაგრამ ზოგჯერ არცერთ დეტალს არ

პატიობს ჟურნალისტს და კრიტიკული თვალთვლით აკვირდება მას. ჟურნალისტურ კრიტიკას განთობის მიზნით შექმნილი შოუებიც კი ვერ აღწევს თავს. სტანდარტი სტანდარტია, რომლის დაცვა ნებისმიერ დროს მოეთხოვება რა სახის პროდუქტსაც არ უნდა ქმნიდეს ის, მაინც უნდა მოახერხოს ყველაფერი ეთიკის ნორმებს მოარგოს და ხარისხიანი მასალა შესთავაზოს მაყურებელს.

გაგრძელება გვ.3

# ტელეგრაფი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო სტუდენტური გაზეთი

12-19 იანვარი  
№ 3. 2014 წ.  
(273)

## დავით გარეჯი - 24 - წლიანი დილემა გვ.5

## ცხოვრება საზოგადოების მიღმა



21 წლის დარინა ბავშვობიდან საქართველოში ცხოვრობს. იგი ბოზაა და როგორც თითქმის ყველა ბოზას, ხშირად შექმნიდა პრობლემები ეთნიკური წარმომავლობის გამო. მას 3 ძმა და ერთი და ჰყავს და მათთან ერთად თითქმის მთელ დღეს ქუჩაში ატარებს, ზოგჯერ ბაზრობაზე და წვრილმან საქონელსაც ყიდის, მშობლებს ეხმარება. როგორც თვითონ ამბობს, არასდროს უვლია სკოლაში და საზოგადოების მხრიდან დაცინვის ობიექტიც ხშირად გამხდარა.

გვ.4



შპარცხული კულტურული მემკვიდრეობა, საყდრისის ბორცვი - მოლგოთა 2

რელიგია სახელად „ლივერპული“

ქართული ბალეტი კულინებს მიღმა

იან ნთიძის კახური - მურული მენედიკა

საყდრისის აფეთქება საქართველოს თანამედროვე ისტორიის შავი წერტილია. ეს არამართო ერთი ქვეყნისადმი, არამედ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, რადგან საყდრისის საბაღო საქართველოს და მსოფლიოს კულტურული მონაპოვარი იყო.

გვ.12

ლივერპულს ყოველთვის ჰყავდა გამორჩეული და ერთგული ფეხბურთელები, რომლებიც გუნდთან ერთად იყვნენ წარმატების თუ წარუმატებლობის დროს. 21-ე საუკუნეში ასეთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო სტივენ ჯერარდი. იგი „ლივერპულის“ კაპიტანია 2003 წლიდან.

გვ.15

„შორიდან ჩანს, თითქოს, ყველაფერი კარგადაა, თუმცა საქმე ასე სულაც არ არის. ვახტანგ ჭაბუკიანის წლების წინ შექმნილი საქმე ჩაიშალა. დასში არ არის შესაბამისი პირობები საცეკვაოდ, კლასიკური რეპერტუარი, დიდი ბალეტები, რომლებზეც მსახიობი უნდა გაიზარდოს, აღარ იღვრება.“

გვ.8

„სულ ვამბობდი ხოლმე, რომ მე არ ვარ ჟურნალისტი, მე მასწავლებელი ვარ. მერე მივეჩვიე. ახლა ეს განცდა, რომ შემრცხვეს ამ სიტყვის თქმის, აღარ მაქვს. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ კარგად გავიგე ამ პროფესიის სირთულეები და ფასი.“

გვ.13

# ასოციირების ხელშეკრულება რატიფიცირებულია

ევროპარლამენტმა საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირება 18 დეკემბერს მოახდინა. რატიფიცირებას 490-მა პარლამენტარმა დაუჭირა მხარი, 76 წინააღმდეგი იყო, ხოლო 5-მა მათგანმა თავი შეიკავა. საქართველო უკვე წლებია ცდილობს ევროკავშირში შესვლას, ამისათვის მთელი ხანძარი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოციირების ხელშეკრულებას, საქართველოს მხრიდან ირაკლი ლარიშვილის, ხოლო ევროკავშირის მხრიდან ევროკომისეტის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბაროსის და ევროკავშირის სამჯოს პრეზიდენტის ჰერმან ვან რომპეის მიერ.

თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ არის ის შედეგი, რომლის მიღწევასაც საქართველო ცდილობს, მიზნის მისაღწევად აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების რატიფიცირება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ ამ სახელმწიფოს სახელით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ფორმას, საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმებათა რატიფიცირებას ახდენს საქართველოს პარლამენტი. ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ხელმოწერილ ქვეყნების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევრო-

კავშირის შიდა ბაზარს. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით DCFTA გულისხმობს, როგორც საქონლით ისე, მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას, გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს, მაგალითად, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკითხების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა, ასევე ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას საბაჟო პროცედურებისა და ხარისხის კონტროლში, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, არ იძლევა ევროკავშირში საბოლოო განწევრიანების პირობას. იმისათვის, რომ დოკუმენტმა ოფიციალურად დაიწყოს ფუნქციონირება და არ ჰქონდეს დროებითი



სახე, საჭიროა ევროკავშირის წევრმა ოცდარვა ქვეყანამ მოაწეროს ხელი. 19 დეკემბრის მონაცემებით ამ ოცდარვა სახელმწიფოდან რატიფიცირებას ხელი თერთმეტმა ქვეყანამ მოაწერა, მათ შორის დანია, რუმინეთმა, ბულგარეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, მალტამ, სლოვაკეთმა, ესტონეთმა, უნგრეთმა, შვედეთმა და ხორვატიამ. როგორც ნაგარაუდვი იყო, რატიფიკაციის პროცესს შესაძლოა რამდენიმე წელიც კი დასჭირდეს, თუმცა ის, რომ აქამდე მივდით, უკვე დიდი წინსვლაა, რადგან ამ ხელშეკრულებაზე ოფიციალური მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2010 წლის ივლისში დაიწყო.

სახურების სფერო, იზრდება საექსპორტო შესაძლებლობები, თუმცა, საქართველოს პრივილეგიებთან ერთად დაეკისრება ვალდებულებებიც, რომლის შესრულებაც იმ შემთხვევაში მოუწევს, თუ რატიფიკაციას ევროკავშირის ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი

ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებას დადებითად ერთად უარყოფითი მხარეებიც აქვს, რუსეთი უკვე 23 წელია საქართველოს მოსვენებას არ აძლევს და მოსალოდნელია, რომ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზით არასასურველი ზომები მიიღოს, თუმცა, 20% ჩვენი ტერიტორიებისა უკვე ოკუპირებული აქვს.

დოკუმენტის რატიფიკაციის პროცესის დაწყება საქართველოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც მიულოცა. დეპარტამენტის პრესსპიკერმა ჯენ ფსაკიმ ყოველდღიური პრესკონფერენცია მილოცვით დაიწყო.

ნინო ოთარაშვილი  
ფოტო: [www.google.ge](http://www.google.ge)



## ახალი ამბები

### საფრანგეთი ტერორიზმის წინააღმდეგ

„საფრანგეთში ტერორიზმთან ბრძოლის არნახული მასშტაბის ოპერაცია ტარდება“ - ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, საპატრულო ძალების რაოდენობა ათასიდან ათი ათასამდე პოლიციელით, უანდარმერისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებით არის გაზრდილი.



პრეზიდენტმა მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო კოალიციამ სირიაში ოპერაცია უფრო ადრე არ დაიწყო. ფრანსუა ოლანდმა პოლიციელთა და უანდარმერის წარმომადგენელთა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედებები დადებითად შეაფასა.

შეგახსენებთ, რომ 7 იანვარს, პარიზში, ერთ-ერთი ჟურნალის - „შარლი ებდოს“ - რედაქციაში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ჟურნალის რედაქტორი, 3 ცნობილი კარიკატურისტი და 2 პოლიციელი. მათ გარდა დაჭრილია ათი ადამიანი. თავდასხმის შემდეგ ტერორისტებმა მანქანა მოიპარეს და მიიმალნენ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა მომხდარს „საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტი უწოდა“. მან მოსახლეობას პირობა მისცა, რომ დამნაშავეების საპოვნელად და დასასჯელად ყველაფერს გააკეთებენ. ტერაქტი დაემეს მსოფლიოს სახელმწიფოების მეთაურებმა და საერთაშორისო ორგანიზაციების

ხელმძღვანელებმა. აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას თქმით, ჟურნალისტებსა და თავისუფალ პრესაზე თავდასხმა ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად ეშინიათ ამ ტერორისტებს სიტყვის თავისუფლებისა და მედიის. იგი საფრანგეთს ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარებას დაპირდა. პარიზში მომხდარ თავდასხმას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა. დევიდ ქემერონმა ტერაქტი დაგმო და ფრანგ ხალხს ტერორიზმის წინააღმდეგ და სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლაში მხარდაჭერა გამოუცხადა.

ალსანიშნავია, რომ ისლამისტი ტერორისტების გაღვივებას „შარლი ებდოს“ მიერ ისლამური სახელმწიფოს მეთაურის, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის კარიკატურის გავრცელებას უკავშირებენ. როგორც ცნობილი გახდა, ჟურნალის ხშირად ემუქრებოდნენ და ეს არ იყო მასზე პირველი თავდასხმა. 2006 წელს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრები მუსლიმების დიდი



ნაწილის რისხვა გამოიწვია ამ ჟურნალის მიერ დანიური გაზეთიდან „Jyllands-Posten“- დან წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გადმობეჭდვამ. 2011 წელს „შარლი ებდომ“ ისევ გამოაქვეყნა მუჰამედის კარიკატურები, რის გამოც რედაქციაში ალღებანი ნივთიერებებით სავსე ბოთლები შეყარეს.

მარიამ მურაჩაშვილი  
ფოტო: [www.google.ge](http://www.google.ge)

### უბულავას პროცესი მრძელდება

საქალაქო სასამართლოში თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას საქმის განხილვა განახლდა. 15 იანვარს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საქმეზე წინასასამართლო სხდომა დაიწყო.



პროცესზე პროკურატურის მხარის მტკიცებულებათა დასაშვებობას განიხილავენ. საქმე ეხება კომპანია „სითი პარკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას და წინასასარჩევნო პერიოდში საბიუჯეტო თანხების მობილიზებას „ნაციონალური მოძრაობისთვის“.

აქვე გაერთიანებულია მარნეულის საოლქო კომისიაში მომხდარი ინციდენტი. ამ ეპიზოდში ყოფილ მერს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას ედავებიან. სწორედ ამ საქმეზე აქვს გიგი უგულავას პატიმრობა შეფარებული.

წინა სხდომაზე ბრალდების მხარემ მტკიცებულებების ნუსხა წარმოადგინა. „დღევანდელ სხდომაზე ჩვენ წარმოვადგინეთ შუამდგომლობა გარკვეული მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით, ანუ რომელი მტკიცებულება გამოირიცხოს და რომელი დარჩეს საქმეში,“ - განმარტა გიგი უგულავას ადვოკატმა გიორგი გელახურმა.

ვაჟა მათიაშვილი  
ფოტო: [www.google.ge](http://www.google.ge)

### კიდევ ერთი ქართველი უკრაინის მთავრობაში

უკრაინის მთავრობაში კიდევ ერთი ქართველი იმუშავებს. ინფორმაციას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი - მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქის“ გვერდზე ავრცელებს. მისი თქმით, ვია გენაძე უკრაინის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე დაინიშნა.

ვია გენაძე აქამდე „ილიაუნის“ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იყო.

„ვია ჩემი თანამოაზრეა და მთელი ეს წლები ჩემი ასლი მრჩეველი იყო. ბოლო უკრაინულ მოვლენებშიც ერთად ვმონაწილეობდით. ის უკრაინაში ჩვენი ყოფილი თანამშრომლების მთელ გუნდთან ერთად ინიშნება და დაევალება. ჩვენ წინასწარ განვიხილეთ ეს გადაწყვეტილება და იმ დასკვნამდე მივდით, რომ უკრაინის წარმატება უფრო სწრაფად დააძლევინებს დროებით სიძნელეებს ჩვენს ქვეყანასაც. ერთი ისაა დასანანი, რომ საქართველო არა მხოლოდ მართვის საუკეთესო სპეციალისტებს, არამედ დროსაც კარგავს,“ - წერს მიხეილ სააკაშვილი.



შეგახსენებთ, რომ 2003 წელს ვია გენაძე იუსტიციის მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებდა, ასევე იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში.

ბაჩო ადამია  
ფოტო: [www.google.ge](http://www.google.ge)

# რეიტინგული ტოპ მოუბები სხვა რაკურსით

საქართველოში ურნალისტური ეთიკის ქარტია მოქმედებს. ის თვითრეგულაციის ისეთი მექანიზმია, რომელიც შოუებში დაშვებული შეცდომებისა და ურნალისტური გადაცდომების შესახებ განცხადებები შედის. ამ დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ სატელევიზიო სივრცეში არცაა ისე იშვიათი. ბოლო დროის განხორციელებული განცხადება „ნანუკა უორჟოლიანის შოუს“ უკავშირდება. ნამყვანს სტუმრად პროექტ „ნიტივის“ ერთ-ერთი მონაწილე ჰყავდა და იაპოვას მონაწილე ითხოვდა.

ეთიკის ქარტიის თავმჯდომარის, ნათია კუპრაშვილის თქმით, რეგულაციები გადაცემების დაგეგმვისა და წყვეანის შესახებ კანონშიაა შეტანილი. ის „ნანუკა უორჟოლიანის შოუსთან“ დაკავშირებით, ეთიკური სტანდარტებიდან გამომდინარე, ამბობს: „გადაცემის აგებულება ზოგჯერ არ ჯდება ეთიკურ სტანდარტებში, თუმცა, ასეთი შემთხვევა ბევრი არ არის. შოუსთან დაკავშირებით ეთიკის ქარტიამ განცხადება იაპოვას მონაწილეზე საუბრის შემდეგ შევიდა, ამ ფაქტმა რელიგიური ჯგუფების მიმართ ერთგვარდისკრიმინაცია გამოიწვია. საკითხზე ნამყვანის რეაგირება კი ქარტიის კრიტიკაში გამოიხატა, თუმცა მგონია, რომ ეს განცხადება მასზე მომავალში იქონიებს გავლენას.“ ნათია კუპრაშვილის აზრით, ურნალისტი პირველ რიგში ადამიანია, რომელმაც უნდა ითქვას, როგორ სჯობს გადაცემის გაშუქება. „პროდაქსი ეთერში ყველა სიტყვისა და სატელევიზიო კონტროლი რთულია, მაგრამ როდესაც ეკრანზე ჩანერილი გადაცემა გადის, ყველაანარი დარღვევის გამოსწორებაა შესაძლებელი. ურნალისტებს ჰგონიათ, რომ ეთიკობა და მაღალი სტანდარტები აზარალებს რეიტინგს, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის, სტანდარტების დაიცვითაა შეიძლება სასურველი და საინტერესო პროდუქტის მიღება.“ - ამბობს ნათია კუპრაშვილი.



ეთიკის ქარტიის შენიშვნის მიუხედავად, „ნანუკა უორჟოლიანის შოუს“ ნამყვანს ეს დარღვევა მნიშვნელოვანად არ მიაჩნია. ის ბედნიერია, რადგან ეთიკის ქარტიამ, შოუს სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით, 5 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი განცხადება შევიდა. „შეიძლება სხვა ნამყვანს რაღაც აპატიონ, მაგრამ იმას მე არ მპატიობენ. ალბათ, ეს კარგიცაა, რადგან ასეთი მაღალი სტანდარტი აქვს მაყურებელს ჩემ მიმართ. მეამაყება, რომ ამ 5 წლის მანძილზე ჩემ წინააღმდეგ განცხადება არ ყოფილა, რადგან თუ განცხადება, მე მოვიდივს ვიდეოები და ვნახე, რომ თუ განცხადება ბევრჯერ მოუწია ბოლიშის მოხდა. ეს კარგი პროცესია, რადგან საზოგადოება ასე ამახვილებს ყურადღებას. დამერწმუნეთ, 10 წლის წინ იაპოვას მონაწილეზე რაც არ უნდა ცუდი გეთქვათ, მაშინ ეს კარგი ტონად ითვლებოდა და დღეს თუ ოდნავ მეტი გადაცდენა გაქვს, ამას არ ვაპატიობენ. ეს ნიშნავს, რომ მაყურებელი გაიზარდა, მაგრამ მაყურებელს რომ ვაუცხვრითკებიანი, ამას კარგი ტონად მივიჩნევდი. უარყოფითი შეფასება კონკრეტული ენციკლოპედიისა და ადამიანებისგან ნამყოფია, მათ შორის ძალიან აქტიურობდა თამარ ჩერგოლიანი. ვილაგას უნდა გრანტი მიიღოს, ვილაგა ობიექტურად ზრუნავს მათ ბედზე, მაგრამ საბოლოო ჯამში მივიღეთ საყვედური ქარტიაში.“ - ამბობს ნანუკა უორჟოლიანი.

გადაცემის ნამყვანის აზრით, ქვეყანაში, სადაც ადამიანს გვარს „უბოროტებენ“, იმით, რომ დააკინონ, ქვეყანაში, სადაც „ასავალ-დასავალისთვის“ ბოლიშის მოხდა არ მოუთხოვიათ, სტანდარტებზე საუბარი ცოტა სასაცილოა. მედია ბედნავს პირადი ცხოვრების სურათებს და მას არ აძულებენ ბოლიშის მოხდას, აი, ამ ყოველივედან გამომდინარე, ნანუკა უორჟოლიანი ქარტიის საყვედურს არ იღებს. „როდესაც გადაცემა ეთერში გავიდა, მე თვითონ არ მომეწონა და დაახლოებით 11 წუთში მოვახდინე რეაგირება, იმით, რომ მესამეზე, მაგრამ ამას ვერ ვიღებ ქარტიისგან, იმით, რომ ეს ის ქარტიაა,

რომელიც მედიის სხვა საშუალებებს არ აძლევს შენიშვნებს იმაზე, რაზეც უნდა მისცეს. ესაა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა, ან ის შემთხვევა, როდესაც კახა ბენდუქიძის გარდაცვალებას სიცილით აქვეყნებენ და აი, აქ თუ არ ირღვევა სტანდარტები, მაშინ ნამდვილად აღარ არსებობს არაფერი. მე ვფიქრობ, რომ ჩემ მიმართ ძლივს, როგორც იქნა, ქარტიას კომპრომატი ჩაუვარდა ხელში და ნანუკას შენიშვნა მისცეს. მე მიყურობს ბევრი აპოვას მონაწილე და მათ ვუთხარი, რომ ვნუხვარ, თუ ჩემი ნათქვამი მიიღეს, როგორც ჩემგან გამოთქმული რაღაც არასწორი პოზიცია.“ - განაცხადა ურნალისტმა.

ნანუკა უორჟოლიანის თქმით, ქარტიას ორმაგი სტანდარტი აქვს, ის მუსტად არ არის ჩამოყალიბებული უმცირესობის წარმომადგენლების საზოგადოების განსაკუთრებულ წევრებად უნდა მივიჩნიოთ, თუ ისე უნდა განვიხილოთ, როგორც უმრავლესობა. „ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ტენდენციად იქცა უმცირესობების რადიკალური დაცვა. მაგალითად, თუ სტუმრად მყავს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი და მივიცე მას რაღაც შენიშვნას, რომ შენ ახლა ეს არასწორად იქვი, ლაპარაკი მაშინვე მიდის დისკრიმინაციაზე. მე მგონია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებენ ამ უმცირესობებს, რატომ უნდა მიუღვე მათ, როგორც განსაკუთრებულს, მერე რა, რომ იაპოვას მონაწილე, მერე რა, რომ სექსუალური უმცირესობის წევრია, თუ ჩემ ვაშობობთ იმას, რომ ისინი არიან ისეთები, როგორიც არის ყველა, მაშინ ისე უნდა ვაკრიტიკოთ, როგორც ყველა. რა მნიშვნელობა აქვს, თუ იაპოვას მონაწილე იქცევა ცუდად, არ უნდა ვთქვათ იმით, რომ დისკრიმინაციაში ჩავევთვლება? - მარაშში ვართ. ენციკლოპედიებიდან ურნალისტებს, რომ უმცირესობის წარმომადგენლები არ უნდა ჩაეყენებინათ განსხვავებულ პოზიციაში, მაშინ, მოდი, და ისინი ვაკრიტიკოთ ისე, როგორც ჩვეულებრივები, მაგრამ, თუ ისინი გვეუბნებიან, რომ არიან განსხვავებულები, გამოარჩეულები და ხელშეუხებლები, მაშინ შევივარ, რომ მათ შეხვდავი, როგორც გამორჩეულებს და განსხვავებულებს. ჩამოყალიბდნენ ეს ენციკლოპედიები და უნდათ ამ ადამიანებისგან.“ - აღნიშნავს ნანუკა უორჟოლიანი.

ნამყვანი კრიტიკის მიუღებლობას კიდევ იმ მიზეზით ხსნის, რომ მას კომენტარები ნაკუნ-ნაკუნ ამოუღეს, ჩაიძიების მიზნით დასმული კითხვები ისე დაუდეს, თითქოს, თვითონ ყოფილიყო თემის დაწყების ინიციატორი. „რესპონდენტები ამბობს - ზომბირებული ვიყავი, მე ვეკითხები იაპოვას მონაწილეებში ზომბირება ხდება? - ანუ ჩავეკითხე მის რეპლიკას, მათ კი მართლაც კითხვა ამომიღეს და გამოვიდა, რომ თემა მე დავინცე, მაგრამ სრულ კონტექსტს თუ მოვესმინეთ, ის თვითონ ამბობს ამას და მე მხოლოდ ვაზუსტებ.“ - ამბობს ნანუკა.

გადაცემის ნამყვანის აზრით, სტანდარტები შეიძლება მაყურებელსაც გიკარნახოს. ურნალისტი მოღვაწეობისას ქმნის ოქროს ფონდს, რის გამოც ზოგჯერ რეიტინგზეც უწევს უარის თქმა. „ხშირად არის დავა იმაზე, თუ ვინ კარნახობს სტანდარტს - მაყურებელი თუ ნამყვანი, ეს თემა რთული და საკამათოა, თუ მე ვაკეთებ გადაცემას, რომელიც მიწერს რეიტინგს, დიდა ალბათობა, რომ იგივე რესპონდენტი სხვა გადაცემაშიც გამოვიყენო, იმით, რომ მე კომენტარული პროექტი ვარ. არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვა შოუებში წერენ რეიტინგს, მაგრამ მე არ მოვიწვევ, არ ვამღერებ და არის ვილაგები, ვისგანაც სხვებს არ შეეძლება. მგონია, რომ დანამდვილია 21-ე საუკუნეში გია სურამელაშვილისგან რეიტინგული სახე შექმნა. იყო შემთხვევა, როცა ჯაბუა ამირეჯიბის ინტერვიუს ჩემს გადაცემაში მოვიტოვე გია სურამელაშვილმა სხვა შოუში რეიტინგით, მაგრამ ფორ რამ გავა, ეს დაფასდება, ჩემს ოქროს ფონდს აუცილებლად მოაკითხავენ და მეტყვიან, რომ ჯაბუა ამირეჯიბის ბოლო ინტერვიუ მივეცე. ყველა დროს ჰყავს თავისი კლასიკოსი და გმირი, მე ყოველთვის ვიამაყებ, რომ ადამიანებს ეს ოქროს ფონდი შევუწახე. გია სურამელაშვილს კი არცერთი ოქროს ფონდი არ დაიცავს. ხანდახან უარს ამბობ რეიტინგზე, რომ სამაგიეროდ შექმნა შენი ისტორია. ადამიანებს ძალიან უყვართ სიყვითლე. მაყურებელმა ნანუკა მიიღო ასეთი: შოუ, დადგამა, ამბავი და შენგან სხვა რაღაცებს არ ვეუბნა. მაყურებელს არ უყვარს ხულიგანი ნანუკა, რეიტინგს ძალიან წერს უცხოეთში გასვლების, ის, რაც ძალიან ჩვეია. ახლა, ახალ წელს მიწდა, რომ ნანუკა იყოს იმდენად ახალი, როგორიც ჯერ არ ყოფილა, მაგრამ თან მიწდა, რომ ეს ჰგავდეს 5 წლის წინააღმდეგ ნანუკას.“ - ამბობს ნანუკა უორჟოლიანი.

ურნალისტური სტანდარტებიდან გამომდინარე, ეთიკის ქარტიამ განცხადება მათ ასათიანის „პროფილთან“ დაკავშირებითაც

შედის, როგორც ქარტიის წევრი ნათია კუპრაშვილი აღნიშნავს, განცხადებები, ძირითადად, ერთი შინაარსისაა და ის სტერეოტიპების გავრცელებას უკავშირდება. „მათი ასათიანი აპელირებს ქალზე, როგორც სუსტ სქესზე და როგორც დიასახლისზე, იმაზე, თუ როგორ შეაყვაროს მან მამაკაცს თავი. როდესაც საუბარია სტერეოტიპულ საკითხებზე, მათი ასათიანი მათ შორის ხშირად არის, ამის გამო მერე საზოგადოებას უკვირს ის ფაქტი, რომ ნამყვანი ქალთა უფლებების დამცველად გამოდის. გადაცემაში აქვს სოციალური ფუნქცია და მნიშვნელობა, ეს დასაფასებელია, თუმცა, ის სწორად უნდა მიწოდოს მაყურებელს. ნამყვანი თავად უწყობს ხელს სტერეოტიპების გავრცელებას, ის აძლიერებს სტიგმას, მასთან მამაკაცი ყოველთვის სასურველი სასიძოა, ხოლო ქალებს მაშინ შეუძლიათ წარმატებას მიიღონ, როდესაც არიან ლამაზები და მშვენიერები.“ - აღნიშნავს ნათია კუპრაშვილი.

„პროფილის“ ურნალისტურ სტანდარტებსა და ქარტიაში შესულ განცხადებებზე გადაცემის ნამყვანმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა. მაყურებლისა თუ სპეციალისტების კრიტიკას ეკრანზე ახლახან გამოჩენილი შოუებიც ვერ აღწევენ თავს. მათ შორის აღმოჩნდა გადაცემა - „სხვა რაკურსით გია ჯაჭანიძესთან ერთად“. ეთიკის ქარტიის წარმომადგენლის თქმით, შოუ ურნალისტური სტანდარტების დარღვევის გარეშე ჯერ არ გასულა ეთერში. „ეს გადაცემა სულ ახლახან გამოჩნდა ტელეეკრანებზე, თუმცა, პროტენზიები უკვე არის. თითქმის არცერთი გადაცემა არ გასულა ეთიკური გადაცდომების გარეშე, ირღვევა მაუწყებლობის ქვევის კოდებს, თუ გადაცემაში ამ ფორმატით ვანაგროდ არსებობა კანონის დარღვევის წინაშე აღმოჩნდება. გადაცემაში არის უხამსი სცენები, ხდება დისკრიმინაციის ნახალისება სექსუალური კუთხით. შოუ იმდენად ყვითელი და რეიტინგზე გათვლილია, რომ ეს ეტყობათ კიდევ.“ - განაცხადა ნათია კუპრაშვილი.

ქარტიის კრიტიკის საპირისპიროდ, გადაცემის მიზანი თემებისა და ადამიანების სხვა რაკურსით ჩვენებაა. გია ჯაჭანიძე ქართულ ტელევიზიურ გამოჩენას მისი ასაკისათვის შესაფერისი ადგილის არსებობით ხსნის. „ქართული ტელევიზიონი ნიშა იყო თავისუფალი იმისა, რომ 53 წლის ადამიანს წაეყვანა შოუ, მე ეს შანსი გამოვიყენე და ძალიან მიწდა სხვა რაკურსით წარმოაჩინო ადამიანები და თემები. მე ვაჩვენებ ფაქტს, რა ხდება საქართველოში, მე ვსვამ კითხვას, რა აინტერესებს საზოგადოებას და ვახმოვანებ ხალხის აზრს.“ - ამბობს გია ჯაჭანიძე.



გადაცემის ნამყვანი შოუში არ აფიქსირებს, თავის, როგორც მოქალაქის, პოზიციას. ფიქრობს, რომ არ არღვევს კანონებს და ახმობავანდ, მხოლოდ ფაქტი დავახანე და ამით დამთავრდა. უბრალოდ, მე ვფიქრობ, რომ ურნალისტურ ქარტიას აქვს ჩასაფრებლის პოზიცია, რომ უნდათ, ვინმე რამეში გამოიჭირონ და ამ გამოჭერის შემდეგ ატყდეს სკანდალი. მე მრჩება შთაბეჭდილება და ვფიქრობ, რომ არც უამისობაა, რომ მათ უნდა ატეხონ ხმაური, ჩვენ ან თავი უნდა ვიშართლოთ, ან გამოვეპასუხოთ, ან ისეც დავარდლიოთ, ან წამოგვედეს რაღაცა ისე, რომ კიდევ ატეხონ ამბავი, მე მესმის მათი, თუ ამბავს და სკანდალს არ ატეხავენ, ხელოფასს როგორ აიღებენ, ამიტომ თუ ამ პოზიციით წავა

უხამს სცენებს, გადაცემაში შიშველი ქალის ჩვენება, ეს არის გარყვნილება და დარღვევა ურნალისტური სტანდარტების. „ტელევიზიით მსგავსი სცენები არ უნდა ვრცელდებოდეს, გასართობი შოუებიც კი ისე უნდა იყოს შეფუთული, რომ მაყურებელში უსიამოვნების გრძობა არ გამოიწვიოს.“ - ამბობს ნათია. ამ საკითხს ერის შეურაცხყოფად არ აღიქვამს გია ჯაჭანიძე, მეტიც, ეს ფაქტი მას ხელოვნებად მიაჩნია. „ჯერ ერთი, ის შიშველი არ ყოფილა,



მეორე, როცა მიდის ლამის პორნოგრაფია ეს, რატომ არ უკვირთ? ის ქალი იყო ნახევრადშიშველი და არ ყოფილა შიშველი. წვეს ქალი ბიკინით და თმით დაფარული მკერდით და აქ მაქვს ტექსტი „ყველა სიშიშველე გარყვნილება არ არის, ზოგიერთი სიშიშველე შეიძლება გახდეს ხელოვნების ტოლფასი“ და იქ მხატვარი ხატავს. შენ რომ ხარ ვინმე ადამიანი და შეგიძლია გადაშალო ცნობილი მხატვრის რეპროდუქციები და იქ არის მთლიანად შიშველი ქალი, რომელსაც ბიკინი არ აცვია, რა? ტელევიზიით ჩვენება ამ ხელოვნებას არ ცვლის.“ - ამბობს გია ჯაჭანიძე.

ეთიკის ქარტიის განცხადების მიუხედავად, გია ჯაჭანიძე უარყოფს ფაქტს, რომ მისი გადაცემა რეიტინგზე გათვლილია, რადგან აშუქებს საზოგადოებისათვის საინტერესო თემებს. „ჩემი გადაცემა გათვლილი არ არის რეიტინგზე, მე სახალხოვად ვამომავს ის თუ რა ხდება დღეს საქართველოში, მაგალითად, ნარკომანიასთან დაკავშირებით, ეს სააფთიაქო ნარკომანია რომ ზენიტშია, მე თქვენ ამას ვაჩვენებთ. პაციენტივით ვარ, ექიმს თუ არ აჩვენე რა გტკოვა, რას გიმკურნალებს ან რა რეცეპტს გამოგიწერს? ნარკომანიის თემის განხილვისას, მე არ მოვიწვია არც სამართალდამცავები, არც ფსიქიატრები, არც ფსიქოლოგები, მე მოვიწვია მხოლოდ საზოგადოების წევრები. მე მიწდა, მხოლოდ ხალხის აზრი მოეწონა მაყურებელს და ეს ენახა ყველას. მე მივსალმედი ურნალისტური ქარტიის შემშაობას, თუ ეს მუშაობა ნაყოფიერი იქნება. მე რომ ვიყო ქარტიაში, ასე მოვიქცეოდი - შევხვდებოდი მთელ ჯგუფს, ვეტყვი, რომ აი, აქ, ეს - არა, ეს - არა, მაგრამ მათ უნდათ სკანდალი და „ისკანდალონი“. მაოცებს ის ფაქტი, რომ ისეთი ადამიანები მაკრიტიკებენ, რომლებიც შოუს უყურებენ, შენ თუ არ გინდა, გადართე. მე ყველა ადამიანის კრიტიკას მივიღებ და ვისნავლი, ოღონდ ეს იყოს ჯანსაღი. ზოგჯერ გულწაფულად ადამიანს სახეში რომ ურტყამ, ატრიპობ, ნემსს რომ უკეთობ, სტიკია, მაგრამ აჯანმრთელებ, მეჩვენებს ოღონდ მასნავლონი.“ - განაცხადა გია ჯაჭანიძე.

20 წლის ანა მასურაძე სატელევიზიო შოუების დიდი მოყვარულია. მისი თქმით, გია ჯაჭანიძის შოუ ქართულ ტელევიზიურ გამოცხადებულა. „ვარ ადფორთოვანებული, ეს შოუ განსხვავებულია, სახელი - სხვა რაკურსით მუსტად შეფერვება გადაცემას. გია ჯაჭანიძის შოუ ჩემთვის განსაკუთრებულია, ვეყურე ყველა გადაცემას და ნამდვილად ნასიამოვნები დავარჩი.“ - ამბობს ანა მასურაძე.

ქართული გასართობი შოუების ნამყვანები ერთხმად თანხმდებიან, რომ მხოლოდ ჯანსაღი კრიტიკაა მისაღები, ურნალისტური ქარტიის კრიტიკა კი არ იქნებოდა არ მოიაზრება. მათი აზრით, ქარტია ჩასაფრებული თვალით აკვირდება თითოეულ დეტალს, იმისათვის, რომ შემდეგ ატეხონ სკანდალი. მათი კრიტიკა უმეტესად მიუღებელი იმის გამოა, რომ საყვედურს ის მედიასაშუალებები არ იღებენ, რომლებიც ამას რეალურად იმსახურებენ.

მთავარი თემა  
ფოტო: [www.google.ge](http://www.google.ge)

# საზოგადოება

## ცხოვრება საზოგადოების მიღმა

21 წლის დარინა ბავშვობიდან საქართველოში ცხოვრობს. იგი ბოშა და, როგორც თითქმის ყველა ბოშას, ხშირად შექმნია პრობლემები ეთნიკური წარმომავლობის გამო. მას 3 ძმა და ერთი და ჰყავს და მათთან ერთად თითქმის მთელს დღეს ქუჩაში ატარებს, ზოგჯერ მამზობაზე და წვრილმან საქონელსაც ყიდის, მშობლებს ეხმარება. როგორც თვითონ ამბობს, არასდროს უვლია სკოლაში და საზოგადოების მხრიდან დაცხვის ობიექტად ხშირად გამხდარა.

დარინა: „სკოლაში არასოდეს მივლია, არც მეონია ამის სურვილი, რადგან ყოველთვის ვგრძობდი ხალხის ჩემდამი დამოკიდებულებას, ვხედავდი, რომ მათ არ მოეწონოდა, ზოგი ზიზღით ჩამივლიდა, ზოგიც ავადმყოფად მეტყვოდა რამდენიმე სიტყვას ან მხარს გამკრავდა. თავდაპირველად, როცა მშობლების დასახმარებლად ბაზარში დადევნიე ვაჭრობა, უხეშად მიმორებდნენ თავიდან და აქ მყოფი სხვა გამყიდველებიც ცდილობდნენ გავგედე, თუმცა თანდათან გამიცნეს და ახლა შედარებით უკეთესად ვგრძობ თავს, მაგრამ, საზოგადოების მხრიდან ჩვენდამი გულგრილი დამოკიდებულება მაინც ამკარა.“

ბოშები საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს გამოჩნდნენ და ამ დროიდან მათი ცხოვრების სტილს და, ზოგადად, ამ ხალხს უამრავი მონინააღმდეგე ჰყავს. ზოგს ემინა მათი, ზოგს სძულს ისინი და ყველანაირად ცდილობს თავი აარიდოს, თუნდაც, ქუჩაში მათ გვერდით ჩავლას.



გარდა საზოგადოების მხრიდან გულგრილი დამოკიდებულებისა, ბოშების უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. მრავალშვილიანი ოჯახები ძირითადად ბარაკების მსგავს ეროსართულიან, უფანჯრო სახლებში ცხოვრობენ და თავის რჩენის ერთადერთ გზას ვაჭრობაში პოულობენ. ზოგჯერ მკითხაობენ, თუმცა იციან, რომ მკითხაობით საკუთარი თავის და, მით უმეტეს, ოჯახის შენახვა შეუძლებელია. ესენია, დარინას დედა: „როცა საქარ-

თველოში ჩამოვედი, ვფიქრობდით, რომ ცხოვრებას უფრო მარტივად განვაგრძობდით, ბავშვები ისწავლიდნენ, ჩვენ, უფროსები, მათ სარჩენად ვიმუშავებდით, ვივაჭრებდით, მაგრამ, ხალხი ძალიან ცივად დაგვხედავდა. აღმოჩნდა, რომ აქ სრულიად ზედმეტები ვართ. აღრინდელთან შედარებით ახლა უკეთესი სიტუაციაა, ეს ალბათ, იმიტომ, რომ ამ უბანში ბევრმა გაგვიცნო, ბევრი შეგვეგუა, თუმცა, საზოგადოებრივი თავმჯდომარის ადგილებში თითოეულ ჩვენგანს ისე გვიყურებენ, თითქოს სამინელი დამნაშავეები და ბოროტმოქმედები ვიყოთ, თავს გვარი-დებენ, რაც ძალიან არასასიამოვნო და დამთრგუნველია. ამიტომ გვიჭირს ვაჭრობაც კი. იმისათვის, რომ სოციალური დახმარება ან რაიმე ვაუჩერი მივიღოთ, გარკვეული დოკუმენტები საჭირო, რომლის მოსა-გვარებლადაც შესაბამისი თანხები არ გავაჩნია, ამიტომაც იძულებული ვართ, უკიდურეს გაჭირვებაში ვიცხოვროთ.“

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ბოშების აღ-რიცხვა საქართველოში მხოლოდ 21-ე საუკუნეში დაიწყო, თუმცა, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, 1989 წელს საქართველოში რეგისტრირებული სულ 1744 ბოშა იყო. მათ შორის: თბილისში - მხოლოდ 53; აფხაზეთში - 412; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 126; ქუთაისში - 251; რუსთავში - 32. მაგრამ ეს მონაცემები დღეს უკვე არ ასახავს რეალობას. 2002 წლიდან საქართველოს მისახლეობის აღწერის მასალები ბოშების რაოდენობის შესახებ არაფერს გვაუწყებს, სავარაუდოდ კი დღესდღეობით თბილისში 250 - 300 ბოშა ოჯახი ცხოვრობს.

ბოშათა ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, განათლებაც პრობლემას წარ-მოადგენს, რასაც ხელს უწყობს საბუთებისა და პირადობის მოწმობების არქონა, მათ მისაღებად კი ოჯახების უმრავლესობას საკმარისი თანხა არ გააჩნია.

სახალხო დამცველი წერს, რომ გან-ათლების, დასაქმების, უფლებების დაცვის, პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივობისა და ჯანდაცვის კუთხით, ბოშები ერთ-ერთ მარგინალურ ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში: „ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების მიუხედავად, ნათე-



ლია, რომ ამჟამინდელი პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს ბოშების ჩართულობას პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, რაც გამოიწვევს მათ იზოლაციას არა მარტო უმრავლესობისაგან, არამედ ეთნიკური უმცირესობებისგანაც კი.“

დარინა: „ჩვენი ოჯახის წევრებიდან პირადობის მოწმობა მხოლოდ მე და მამას გვაქვს - სულ რამდენიმე თვის წინ ავიღეთ. ძალიან მინდა ჩემმა უმცროსმა და-ძმამ მაინც დროულად შეძლოს საბუთების მიღება, რათა სკოლაში შევიდნენ და შესაბამისი განათლება მიიღონ. მართალია, ადრე მე ამის დიდი სურვილი არ მქონდა, თუმცა, დღევანდელი გადმოხსნილიდან ვამჩნევ, რომ ბავშვმა სკოლაში უნდა იაროს, უნდა ისწავლოს.“

დღესდღეობით ბოშათა პრობლემების მოსაგვარებლად იგეგმება ბევრი სხვადასხვა პროექტი, რომელზეც მუშა-ობენ არასამთავრობო ორგანიზა-ციები და ინკლუზიური პროგრამების წარმომადგენლები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის კოორდინატორი, ლელა ცეტიძეშვილი ამბობს, რომ სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის წყალობით, დღეს უკვე ხდება ბოშა მოზარდების თანატოლებთან სოციალიზაცია და ჩართვა სასწავლო პროცესში.

„მოუგვარებელი დოკუმენტების გამო რთული იყო ბოშათა სასწავლო პროცესში

ჩართვა, თუმცა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით ხდება საბუ-თების მოგვარება და დღეისათვის მთელს საქართველოს მასშტაბით სკოლებში დადის 110 სასკოლო ასაკის ბოშა მოზარდი. გარდა ამისა, ისინი ადგილობრივ თანა-ტოლებთან ერთად, თავიანთი ინტერესების მიხედვით, ჩართულები არიან კითხვისა და თეატრალურ კლუბებში, სადაც როლები თანაბრადაა განაწილებული, ეს ყველაფერი კი ბოშების თვითმფასების ამაღლებას ემსახურება.“ - აღნიშნავს ლელა ცეტიძეშვილი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ აუცილებელია, სახელმწიფომ იზრუნოს ბოშების საზოგადოებასთან ინტეგრაციაზე, ხელი შეუწყოს მათი ცხოვრების პირობების ამაღლებას და მისცეს შესაბამისი განათლების უფლება. რამდენად გაითვ-ალისწინებს ხელისუფლება ბოშათა პრობლემებს და შეძლებს თუ არა ამ პრობლემების მოგვარებას, ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი აუცილებელია თავად საზოგადოებამ შეძლოს იმ სტერეოტიპის დამსხვრევა, რომლის მიხედვითაც ბო-შები მხოლოდ შეშინების მთხონელები, უკულტურო პიროვნებები არიან და არა სრულფასოვანი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი შრომითა და ძალისხმევით შეუძლიათ იცხოვრონ.

ნინო გვასალია  
ფოტო: ნინო გვასალია

## ბედის ანაბარა დარჩილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვები

ბავშვთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთ იმ პრობლემათაგანია, რომელიც მხოლოდ პერიოდში ყურადღების მიღმა დარჩა. კვლევაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 2007 წლის შემდეგ არც კი ჩატარებულა, სავალალო შედეგები აჩვენა. გაერთიანებული ერების (იუნისეფის) მიერ 2007 წელს წარმოდგენილი კვლევის თანახმად, საქართველოს მისახლეობის 60% თვლის, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები. გამოკითხულთა 94%-ს ესმის, რომ ბავშვებისთვის ისიც კი საშიშარია, როდესაც ოჯახში ძალადობის მომხსნელები, მაგრამ 70% თავშეკავებით ეკიდება იდეას, „უფლებამოსილი ორგანოები“ ოჯახის საქმეებში ერეოდნენ. უფრო მეტიც, ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალებმა (მასწავლებლების, მანდატურების და სოციალური მუშაკების) 60% ფიქრობს, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ამ ოჯახის პირადი საქმეა და სხვები მასში არ უნდა ერეოდნენ.

კითხვაზე, თუ რატომ არ ჩატარდა ამ თემაზე საფუძვლიანი კვლევა 2007 წლის შემდეგ და ზოგადად, როგორია მონაცემები 2014 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან პასუხი ვერ მივიღეთ. ბავშვთა ზრუნვის დეპარტამენტში კი აცხადებენ, რომ მიმდინარეობს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა. ჯერ კონკრეტული სტატისტიკა უცნობია, თუმცა, ასეთი ბავშვების აღრიცხვა დაწყებულია და შედეგები მალე გახდება ცნობილი. განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტი არა მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში, არამედ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა თუ ქალაქში. „ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მოკლე დროში შევქოთოთ დანაწევრი პროექტის ბოლომდე წარმატებით მიყვანა,“ - აღნიშნეს დეპარტამენტში.

2014 წლის 30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა, დებატები გამართა თემაზე, „ბავშვის მიმართ ძალადობა საქართველოში - ვის ეკისრება

პასუხისმგებლობა?“ სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა ბავშვთა მიმართ ძალადობის თემით საზოგადოების დაინტერესებას, ისაუბრა ამ პრობლემის განსაკუთრებულ აქტუალობაზე და სახელმწიფოს მხრიდან სახალხო დამცველის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების აუცილებლობაზე. დისკუსიამ ცხადი გახდა თემის სიმწვავე და ისიც, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა არაერთ პრობლემურ სფეროს მოიცავს.

ფსიქოლოგები, პედაგოგები და სოცი-ოლოგები ერთხმად თანხმდებიან, რომ ბავშვებზე ძალადობა უკვალოდ არ ქრება და შედეგად ვიღებთ მათ სპირ სიკვდილიანობას, მოშავლის შიშს, კონფ-ლიქტებს, ავრესიულობას, გონებრივ ჩამო-რჩენილობას, სეიციის მცდელობას. ბავ-შვებს ხშირად უვითარდებთ სასკოლო უნარების (მეხსიერების და ყურადღების) დაქვეითება. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს უჭირთ ადაპტაცია, ექმნებათ ფიზიკური

და ფსიქიკური პრობლემები. გარდატეხის ასაკში ისინი ეძლევიან ალკოჰოლს, ხდებიან ნარკოდამოკიდებულნი, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში. შინაგანი პროტესტის გამოხატვის მიზნით, ბავშვები ხშირად არასწორ გზას ირჩევენ, რასაც საბოლოოდ სავალალო შედეგი მოაქვს.

17 წლის „სასკე“ ბავშვთა სახელ „ბელურების“ ერთ - ერთი აღსაზრდელია. ის ყველა, რომ დღეა ბავშვობაში გარდაეცვალა, მამა კი წამალს იკეთებდა, რის შემდეგაც ხშირად ცემდა მას. „მიუხედავად იმისა, რომ მამა ცუდად მექცოდა და ძალიან ხშირად მცემდა, ვცდილობდი მამაშვილური თუ არა, მეგობრული კონტაქტი მაინც დამემყარებინა, მომეკითხა, მაგრამ ესეც არ გამოვიდა. ბოლოს



მან თავი ჩამოიხრჩო. შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ნევროზი მაქვს. გუშინაც სასწრაფო იყო ჩემთან, გულ - მკერდის არემი ტკივილები მენწყება და სუნთქვა მიკვრის. ეს ალბათ ჩემი ნარსის ბრალია.“

სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გარდა, კიდევ ერთი პრობლემა იკვეთება, ბავშვები სრულწლოვანობის მიღწევითანავე ტოვებენ ბავშვთა სახლს, რის შემდეგაც, ისევ

ქუჩაში უნევენ ცხოვრების გაგრძელება. „მე ძალიან ხშირად ვფიქრობ ჩემს მომავალზე, რამდენიმე თვეში 18 წლის გავხდები და ისევ ქუჩაში მომიწევს ცხოვრების გაგრძელება, რადგან არავინ მყავს ისეთი, ვინც შემეფარება,“ - ამბობს „სასკე“.

ვის და რა ბერკეტებით ზრუნავს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე? რითი უნდა იარსებონ იმ ბავშვებმა, რომლებიც 18 წლის ასაკში ტოვებენ ბავშვთა სახლებს? ამ კითხვებზე პასუხი სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან ვერ მივიღეთ, თუმცა, ცხადია, რომ პრობლემას გადაჭრა ჭირდება.

საქართველოში სამოქალაქო საზო-გადოების სახით არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია გვხვდება, სადაც ჩართულები არიან ახალგაზრდა მოქალაქეები, რომელთა შორის აქტიურობით გამოირჩევა ორგანიზაცია „საფარი“. მისი წევრები აქტიურად მონა-წილეობენ სხვადასხვა პროექტში. ჩვენს ქვეყანაში არსებობს ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი ე.წ. „შელაპლინი“, რომელიც „ბავშვთა დახმარების ცენტრის“ ფარგლებში არსებული ბავშვთა უფლებების დაცვისკენ ორიენტირებული სერვისია. სერვისის მიზანია, მინიმუმამდე დაიყვანოს ბავშვის დაცვის და უსაფრთხოების დარღვევის რისკი, თუმცა, სანამ ჯერ კიდევ უცნობია, რამდენად მზადაა სახელმწიფო დაეხმაროს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება.

მარიამ გაბისონია  
ფოტო: www.google.ge

# დავით ბარაქი - 24 - წლიანი დიღობა

კომუნისტური მთავრობისგან აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტურ რეგიონებთან ერთად, საქართველოს დავით გარეჯის მოუკვარებელი პრობლემაც ერთი შემკვიდრებულად. ორ ქვეყანას შორის ტერიტორიის საზღვარი გაყოფის პროცესი დროში გაჭიანურებული აღმოჩნდა. თავის დროზე სერგო ორჯონიკიძისთვის წარმოუდგენელი იყო მოძვე კომუნისტებთან ტერიტორიებზე დავა, კომუნისტების გეგმებში საზღვრების ანოსებობა ანუ ეწერებოდა და ამიტომაც, ტერიტორიის შენახუნებაც საჭიროებდა არ მიიჩნია.

შედეგად კი ქართველების კუთვნილი სამონასტრო კომპლექსის ნაწილი, კონკრეტულად ბერთუბანი, ჩიჩხიტურის ნაწილი და უდაბნო, ჩვენი მეზობლის შემადგენლობაში აღმოჩნდა. საინტერესოა ისიც, რომ საზღვრის მონაკვეთი ზედ ჩიჩხიტურის მონასტერზე გადის. ახალი წელიწადი დავით გარეჯელი ბერებისთვის ახალი აღმოჩენით დაიწყო. მონასტრის ტერიტორიაზე მათ აქამდე უცნობ სამლოცველოს მიაგნეს. სამლოცველო თითქმის ცხრა საუკუნის არსებობას ითვლის, აქ არსებული უნიკალური ფრესკები დროთა განმავლობაში დაზიანდა. მათი რეაბილიტაციისთვის სპეციალური კომისია უკვე შექმნილია.

ქართველ ხალხს საკუთარი მტკიცე პოზიციის ჩვენება სურდა. ტერიტორიის საზღვრით გაყოფას სასულიერო პირებთან ერთად საზოგადოების დიდი ნაწილიც ეწინააღმდეგება. როგორც ცნობილია, გაიმართა მოლაპარაკებები საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს შორის, საკითხი ასევე განიხილეს საგარეო საქმეთა მინისტრებმა. აზერბაიჯანულ მხარეს ქართველებმა სხვა ტერიტორია ჯერ კიდევ 70 - იან წლებში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს შესთავაზეს. სამწუხაროდ, შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს ტერიტორიის აღიარების შემდეგ მონასტრის ნაწილი



ბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სხვა ქართული კულტურულ-რელიგიური ძეგლებიც ალბანურ კულტურას ეკუთვნის. „ქეშკაჩი“ - ასე უწოდებს ჩვენი მეზობელი ქვეყანა ქართველთა კუთვნილ სამონასტრო

განცხადებამაც შეუწყო ხელი, რომლის მიხედვითაც, დავით გარეჯის ტერიტორიის ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების დაშლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაში აღარ შედიოდა და შესაბამისად საქართველოს აღარ ეკუთვნოდა. მოგვიანებით მან სხვა განცხადებაც გააკეთა, სადაც უკვე თქვა, რომ „დავითგარეჯის კომპლექსი მთლიანად არის საქართველოს საკუთრება და არის ქართული კულტურის ძეგლი. ამაზე არ დავობს არცქართული მხარე და არც აზერბაიჯანული მხარე.“ - ეს განცხადებები ადასტურებს, იმასაც რომ მოსახლეობაში განგაში მომხდარის გარდა, სხვა ფაქტორებმაც გამოიწვია. აზერბაიჯანელი ისტორიკოსების სიტუტის მიზეზს ქართული მხარე იმით ხსნის, რომ ანალოგიური პრობლემა აზერბაიჯანს აქვს სომხეთთანაც და თუ ქართველებთან დათმობაზე წავა, ის აუცილებლად დამარცხდება სომხ ისტორიკოსებთან და ექსპერტებთან. დავით გარეჯის ტერიტორიის ნაწილის დათმობა მთიან ყარაბაღში ალბანური წარმოშობის სამლოცველოების დაკარგვის ტოლფასი იქნება. რამდენიმე თვის წინ აზერბაიჯანული მხარის მიერ მონაწიბილი სამხედრო წვრთნების გამო, უდაბნოს ქედის მონახულება შეუძლებელი იყო. მიზეზად კი ტურისტების უსაფრთხოების დაცვას ასახელებდნენ. ქართველი მრევლის მიერ მონაწიბილი აქციების შემდეგ კი აზერბაიჯანელი მესაზღვრეები წმინდა ილიას ნიშთან აღარ ღვანან, ისინი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არიან. პრობლემა კი ბერთუბანი რჩება, რომელიც საზღვრიდან შვიდ კილომეტრში მდებარეობს, იქ მისვლა ქართველ ბერებს არ შეუძლიათ. დავით გარეჯის ღია ტურისტულ ზონად გამოცხადება, საგარეო დავით, ქართველ და არაქართველ ტურისტებს მონასტრის ტერიტორიაზე გადაადგილებისას მეტ თავისუფლებას მინიჭებს. თუმცა, აღნიშნული იდეა განხილვას, ჯერ - ჯერობით, არ



ახალი აღმოჩენის ფონზე შესაძლოა ბევრ აღამიანს არ გაახსენდეს ის ისტორიული დავა, რომელიც ჩვენს მოსაზღვრე ქვეყანასთან დღემდე მოუგვარებელია. როგორც ცნობილია, თბილისიდან 60-70 კილომეტრში გარეჯის სერზე მდებარე სამონასტრო კომპლექსი ასურელი მამის დავითის მიერ არის დაარსებული. მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში მთის გამოქვაბულში დასახლების შემდეგ მან პირველ მონასტერს დაუდო საფუძველი. საუკუნეების განმავლობაში მცირე მონასტრების რაოდენობა გაიზარდა და დღეს ამ ტერიტორიაზე სულ 19 მონასტერი არსებობს. კომპლექსი 25 კილომეტრზე არის გადაჭიმული და ოფიციალური სტატუსით, ის დღემდე საქართველოს თვალსაჩინო რელიგიურ - კულტურულ ძეგლად ითვლება. რა არის დავით გარეჯი - ქართული თუ ალბანური კულტურული მემკვიდრეობა? - ამ კითხვებზე პასუხი ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ორი წლის წინ აზერბაიჯანულმა მხარემ დავით გარეჯი „კეშიკაჩი - ალბანური“ კულტურის მემკვიდრეობად მოიხსენია და ამასთანავე, ქართული მხარე სხვისი კულტურული მემკვიდრეობის მითვისებაში დაადანაშაულა. „დავით გარეჯი საქართველოა!“ - ამ ლოზუნგით თბილისში აზერბაიჯანისთვის საპასუხოდ, საპროტესტო აქციები ორი წლის წინ მიმდინარეობდა. სიტუაციის დაძაბვა კი აზერბაიჯანის მხრიდან მოხდა. ქართველი სასულიერო პირების მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, იმის შესახებ რომ ქართველ მრევლს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები გადაადგილებისას პრობლემებს უქმნიდნენ, საზოგადოებაში აღმოვიდა გამოიწვია. აღნიშნულ ფაქტს მოგვიანებით დავით გარეჯის ტერიტორიაზე მრევლის დიდი რაოდენობით ჩასვლა მოჰყვა. ამით

კვლავ აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა. არსებული მეორე ვერსიის თანახმად, დავით გარეჯის ტერიტორიის სანაცვლოდ სხვა ტერიტორიის შეთავაზებისას, აზერბაიჯანის მხრიდან საქართველომ უარი მიიღო. 1996 წლიდან მოქმედებს სპეციალური კომისია, რომელსაც სადელიმიტაციო - სადემარკაციო სამუშაოები დაევალა. 446-კილომეტრიანი საქართველო - აზერბაიჯანის საერთო საზღვრის უდიდესი ნაწილი დელიმიტირებულია, შეთანხმება ვერ სრულდება დავით გარეჯის ტერიტორიაზე. დღემდე გაჭიანურებული პროცესი კი მოსახლეობაში გაურკვევლობასა და აღელვებას იწვევს. როგორც ვთქვით, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, არა ქართულ რელიგიურ - კულტურულ ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის, არამედ ალბანური კულტურის ნაწილია. ამ თეორიას აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ნაჯაფ მუსეიბლი საინფორმაციო სააგენტო „ტრენდთან“ საუბრისას ასცადებს, რომ „ტერიტორია, რომელზეც მდებარეობს დავით გარეჯის მონასტრის დიდი ნაწილი, ისევე, როგორც მთელი ტერიტორია, რომელზეც მდებარეობს აზერბაიჯანელებით დასახლებული ბორჩალო, წარმოადგენს ისტორიული აზერბაიჯანის ტერიტორიას“. ის ასევე განმარტავს, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველებს არასდროს უცხოვრიათ, ხოლო დავით გარეჯის მშენებლობას გაქრისტიანებულ ყოფილ ტურქებს მიაწერს. მათი ვერსიის მიხედვით, დავით აღმაშენებლის მიერ მოხდა დავით გარეჯის შეერთებაც და ამ ტერიტორიის „გაქართულებაც“. ამ დასკვნის მიხედვით კი, აზერბაიჯანს, როგორც ყოფილ ალბანურ ქვეყანას, ეკუთვნის სამონასტრო კომპლექსი. აზერბაიჯანელების ამ შეხედულების მიხედვით, დავით გარეჯის გარდა აზერ-

კომპლექსს, რომელიც ქართველი ბერების სამსახურში მეექვსე საუკუნიდან დგას, რამდენიმე წლის წინ მესაზღვრეების მიერ დისლოკაციის ადგილის შეცვლა გარკვეულწილად ხელს უშლიდა მომლოცველებს ტერიტორიის სრულად დათვალიერებაში. შეზღუდული გადა-



ადგილება, მესაზღვრეების რაოდენობის გაზრდა და აზერბაიჯანული მხარის მიერ მუდმივად ძალის დემონსტრირება მიმდინარეობდა 2012 წელს. სიტუაციის გამწვავების მიზეზი ხალხის ვენბათაღელვა გახდა. ორი ქვეყნის მიერ ტერიტორიული დავის გადაწყვეტა მეტად მძიმე საკითხია, ვინაიდან საქართველოსაც და აზერბაიჯანსაც აქვს სხვა პრობლემებიც, რომლებიც მათ ტერიტორიულ მთლიანობას ეხება. 2012 წელს სიტუაციის გამამაფრება საგარეო საქმეთა მინისტრის

ექვემდებარება. ორი წლის წინ მომხდარი ფაქტი აღასტურებს აზერბაიჯანული მხარის პრეტენზიებს სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის დაუფლებაც, მათ მიერ ძალის დემონსტრირება და დღემდე დაუდგენელი საზღვრები იმის გარანტიას არ იძლევა, რომ მსავსი ფაქტი მომავალში არ განმეორდება.

ხატია გოგრიჭიანი  
ფოტო: [www.melittravel.com](http://www.melittravel.com)

# ბარმოს დანაბვიანებაზე სანქციები გამკაცრდა

**„ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. უფლებას, რომელიც საქართველოს მოქალაქეს კონსტიტუციით აქვს გარანტირებული, ახალი საკანონმდებლო პაკეტი უკეთესად დაიცავს.**

დაბინძურებაზე სასჯელი 2015 წლის იანვრიდან გამკაცრდა. ახალი კანონპროექტის თანახმად, გარემოს დაბინძურება ხასიათისა და კატეგორიის მიხედვით დაიყო.

ჯარიმა გარემოს დაბინძურებისთვის უკვე კენჭისყრაზე გაიტანეს. გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ კი შეიქმნა კანონპროექტი, რომელიც ფინანსურ სანქციებს ითვალისწინებს. დოკუმენტებმა დეპუტატების მხარდაჭერა მოიპოვა, 15 იანვრიდან ქუჩაში ნარჩენების დაყრა მკაცრად გაკონტროლდება. საჯარიმო თანხა 20 ლარიდან 5000 ლარამდე მერყეობს და ის დაბინძურების ხარისხის, ასევე ნარჩენების რაოდენობის მიხედვით იზრდება. პროექტი 26 გვერდისგან შედგება, რომელიც 11 თავს, 50 მუხლს და 3 დანართს მოიცავს.

დღემდე ქვეყანაში არ არსებობდა ერთიანი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც დაანგებდა ან შეიმუშავებდა ნარჩენების მართვის ერთიანი საკანონმდებლო სისტემას. რეგულაციები, რომელიც ნაწილობრივ არსებობდა სხვადასხვა საკანონმდებლო სფეროებში, სრულად ვერ ასახავდა დღევანდელ რეალობას. ამასთან, არ იყო შესაბამისობაში საერთაშორისო მოთხოვნებთან, მათ შორის, ნარჩენების მართვის თაობაზე ევროდირექტივების მოთხოვნებთან.

უკანასკნელ წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ტრანსფორმაცია განიცადა, რამაც, ერთი მხრივ, გაზარდა სარგებელი, მეორე მხრივ კი, ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების რისკები. პრობლემები, რომლებსაც იწვევს ნარჩენების წარმოქმნას, სპეციფიკური და ამავდროულად კომპლექსურია. 63 ოფიციალური და ათობით არაოფიციალური ნაგავსაყრელი საქართველოს მასშტაბით – კანონპროექტის მიღებამდე ეს მონაცემები გარემოსთვის ზიანის მიყენების მყარი გარანტი იყო. მონესრიგება თელავის ნაგავსაყრელით დაიწყო, შემდგომ კი დაკონსერვება და მის ნაცვლად ევროპული სტანდარტების რეგიონული ობიექტის ამენება იგეგმება. იგივე ბედი ელის საქართველოში არსებულ სხვა ნაგავსაყრელებსაც. ამით მოსახლეობის

კეთილდღეობის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაწყდება. ამ კანონპროექტის მიღების კიდევ ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ნათლად უნდა უზრუნველყოს (ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან და მასთან შესაბამისობაში მოყვანა). რაც შეეხება რეგულაციას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯარიმის მინიმალური ოდენობა 20 ლარი იქნება. ის კოდექსში შემდეგნაირად განწერილი:

- ნარჩენების მართვის კოდექსი“ თავი 10, მუხლი 31
1. 2 კგ - მდე მუნიციპალური ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაკდება ან/და მითრება, - გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.
  2. იგივე ქმედება ჩადენილი საცხოვრებელი სახლებიდან ან შენობა - ნაგებობებიდან, - გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.
  3. იგივე ქმედება ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან, - გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში, დამრღვევის დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.
  4. 2 კგ -ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენების (გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) გარემოში დაყრა, გადაკდება ან/და მითრება, -19 გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას - 400 ლარის ოდენობით. ეს თავი საქართველოს მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. რამდენად შეძლების სიეთი ქვეყანა, სადაც საარსებო მინიმუმი 150 ლარია, ამ ჯარიმის გადახდას, ცოტა საეჭვოა. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მოსახლეობას სანქცია სჭირდება თავისი ქალაქის სისუფთავის შესანარჩუნებლად. სუფთა სკვერი მართალია ჯარი-



მების შემოღების მთავარ მიზეზად ასოცირების ხელშეკრულებასთან ნაკისრი ვალდებულების შესრულება სახელდება, თუმცა საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებაც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის ფაქტი, რომ ადამიანები, თუნდაც, ჯარიმის შიშით, სანაგვე ყუთის წინ ნაგავს არ დაყრიან, ალბათ, დროული და საჭიროც კი იყო. იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება ნაგვის დაყრაზე კონტროლი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ელგუჯა ხოჯორაშვილი, „მაცნესთან“ საუბრობს:

„ნარჩენის დაყრაზე ჯარიმებს 3 ორგანო გააკონტროლებს, ესენია: ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახური, რომელიც შესაბამის ღონისძიებას მიიღებს, თუ იმ ტერიტორიაზე მოხდება დაბინძურება, აქვე იქნება საპატრულო პოლიცია, რომელიც სატრანსპორტო საშუალებებს გააკონტროლებს (მანქანიდან გადმოყრის შემთხვევაში) და გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომელიც ამოწმებს გარემოს დაბინძურებას“. ნაციონალური მოძრაობის წევრი გოგა ხაჩიძე კი მიიჩნევს, რომ ინიციატივა კარგია მაგრამ მას შესრულება არ უნერია - „მე ამ კოდექსს ვუნდადი „სურვილების კოდექსი“. სურვილების დონეზე ბევრი რამ მისაღებია,

თუმცა არანაირი გარანტია, რომ ეს კოდექსი პრაქტიკაში ამოქმედდება, არ არსებობს“. როდესაც ქუჩა ნაგვით არის სავსე, ეს ინფრასტრუქტურის ან კულტურის პრობლემაა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის, მაია ბითაძის თქმით, დაიწყო კამპანია, რომელიც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს: „უკვე დაიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია - „ნუ დატოვებ ნარჩენებს, იზრუნე გარემოზე“, რომელიც მოიცავს მთელ საქართველოს. ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ელგუჯა ხოჯორაშვილი, ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ ინტენსიურად ვიმუშავებთ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას. საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ ნარჩენები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე, მათი შვილების მომავალზე, ძალიან მნიშვნელოვანია, გარემო არ დაგაბინძუროთ“.

რამდენად მიიღებს საზოგადოება ამ გამოწვევას და რამდენად კარგად აისახება ეს ყველაფერი გარემოზე, ამას დრო გვიჩვენებს.

ზაჩო ადამია  
ფოტო: google.com

## ფსიქოლოგიისა და ბანათლების მსხვირბათა ფაკულტეტი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ფაკულტეტი ჩამოყალიბდა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ერთ-ერთი მიმართულება, ფსიქოლოგია ცალკე გამოეყო, ისევე როგორც, განათლება და მეცნიერება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს. ამ დარგების შეერთებით 2014 წლის 6 ოქტომბრიდან შეიქმნა ახალი ფაკულტეტი, რომლის სახელიც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებაა. ინფორმაცია უნივერსიტეტში მალევე გავრცელდა და სტუდენტებსა და აბიტურიენტებში მითქმა-მოთქმა გამოიქცია. მოკი მათგანი ვერ გაერკვია არსებული ვითარებაში, თუ რა სახით შეეხება ეს ცვლილება მათ და რა სიახლეებს შესთავაზებს ახალი ფაკულტეტი იმ მომავალ სტუდენტებს, რომლებიც აპირებენ თსუ-ში, სწორედ ამ მიმართულებებით სწავლის გავრძელებას.**

განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ გავლიძემ ვაჭრით „ტელეგრაფი“-თან ამ საკითხებზე ისაუბრა: „იდეის საფუძველი და მოტივაცია უნივერსიტეტის ისტორია გახდა. ფსიქოლოგია, ისევე როგორც უფროსი სტიპენდია, ცალკე მიმართულება იყო, ჰქონდა საკუთარი სტრატეგიები და დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა. პედაგოგიკის განათლება ცალკე კათედრა იყო, რომელიც ეკუთვნოდა ფილოსოფია - ფსიქოლოგიას. ეს ორი დარგი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და, იქიდან გამომდინარე, რომ ფსიქოლოგია განათლების სფეროში ძალიან დიდ ადვანსს იკავებს, მოხდა მათი გაერთიანება. ეს ფაკულტეტი აკრედიტაციას 2016 წელს გაივლის, იქამდე კი შემუშავდება პროგრამა,

ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც ამჟამად სწავლობენ და მომავალ წელს ჩაირიცხებიან, გაივლიან მიღვედ პროგრამას და მიიღებენ სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხს“.

ახალ ფაკულტეტზე წინა წლებთან შედარებით სტუდენტების კოტა გაიზარდა, 2015 წელს ისინი 145 პირველკურსელს მიიღებენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განათლების მეცნიერებას პროფესიის პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით, დაწყებითი კლასის პედაგოგიკის სპეციალობას ცალკე აქვს გამოყოფილი გრანტი, რაც გულისხმობს იმ 25 სტუდენტის სრულ დაფინანსებას, რომელთაც ყველაზე მაღალი ქულები ექნებათ. ნილი სურგულაძე აბიტურიენტია და სულ რამდენიმე დღის წინ გაიგო სიახლის შესახებ, რომელიც მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით ვაპირებდი ჩაბარებას, თუმცა გასულ კვირას ჩემმა მეგობარმა მითხრა სიახლეზე, რომელიც ახალმა ფაკულტეტმა შემოგვთავაზა. ძალიან დამაინტერესა, ჯერ საბოლოოდ არ ჩამოვყალიბებულვარ, თუმცა შესაძლებელია ჩემი გადაწყვეტილება შევცვალო და განათლებისა და მეცნიერების ფაკულტე-



ზე შევაჩერო არჩევანი, ვცდი პედაგოგიკაზე ჩაბარებას, იქნებ, იმ 25 სტუდენტში აღმოვჩნდე, რომელსაც სახელმწიფო დაუფინანსებს სწავლის გადასახადს“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები ამ ცვლილებას დადებითად აფასებენ.

„მოხარული ვარ, რომ ცალკე ფაკულტეტად ჩამოყალიბდა ფსიქოლოგია, იმედი მაქვს, სასარგებლო, საინტერესო სიახლეები დაინერგება და, ბოლოს და ბოლოს, გვექნება პრაქტიკები. ვერ ვახერხებთ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ჩვენს პროფესიაში მარტო დაზვიანებული, თეორიული მასალით ვვრდებით“ - აცხადებს ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტი თაბო ბოლქვაძე.

ახალი ფაკულტეტის ერთერთ მთავარ მიზანს სწორედ პრაქტიკების დანერგვა წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით თამარ გავლიძემ შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ჩვენ ვაპირებთ შემორანდუმი გაავლოთ სხვადასხვა ისეთ დაწესებულებებთან, რო-

გორებისა ბალები, სკოლები, კლინიკები და ა.შ, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება თავიანთი ცოდნა გაიღრმავონ და შეძლონ პრაქტიკული სწავლების მიღება. ჩვენ აუცილებლად გვექნება მჭიდრო კავშირი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომელსაც უახლოეს მომავალში შევთავაზებთ პროგრამას“.

„მოხარული ვარ, რომ ჩვენი პროფესია ცალკე ფაკულტეტად ჩამოყალიბდა. ფსიქოლოგია, როგორც დარგი მხოლოდ საზოგადოებრივი მეცნიერება არაა, სპეციფიკურია. იგი ერთ-ერთი მოთხოვნადი მიმართულება იყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ბევრი საკითხი მოუწესრიგებელია, - ცხრილები, მასალები, საგნები, წიგნების თარგმან და ა.შ. იმედი მაქვს, ეს პრობლემები მოგვარდება და სწავლების ხარისხიც გაუმჯობესდება“. - ასე აფასებს საკითხს მე - 4 კურსის სტუდენტი,

გიორგი მახარაძე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დადებითი დამოკიდებულება აქვთ განხორციელებულ ცვლილებას. „ის ფაქტი, რომ განათლება და ფსიქოლოგია ერთი ფაკულტეტი იქნება, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ეს ორი დარგი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ის, რომ ახალ ფაკულტეტზე შემდეგი წლიდან სტუდენტებს დამატებითი გრანტის მოპოვების შესაძლებლობა ექნებათ, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას საგრძნობლად გაზრდის“. - ამბობს ფილოსოფიის ანუკი დავითაშვილი. რა სიახლეებს დანერგავს და გაამართლებს თუ არა სტუდენტების მოლოდინს განათლების მეცნიერებათა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, ამას უახლოეს მომავალში უნივერსიტეტში განხორციელებული საქმიანობა გვიჩვენებს.

ლიანა ლომიძე  
ფოტო: www.google.ge



მშრომელთა უფლებების დასაცავად

ადამიანის შრომითი უფლებები არის ის სფერო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას და სამართლიანობას მოითხოვს. საქართველოს ხელისუფლების გაუმართლებლად ხისტი დამოკიდებულება შრომის კოდექსის ცვლილებებისადმი, აქტუალობას ან უკარგავს პრობლემებს, რომელიც 21-ე საუკუნის საქართველოს სამართლებრივ ლაქად დაჰყვება: 8-საათიანი სამუშაო დღის არარსებობა; სამსახურებიდან ადამიანების დაუსაბუთებელი დათხოვნა; როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, დამამცირებელი მოკლევადიანი კონტრაქტების არსებობა, აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური შრომა, დაუფასებელი შრომა მძიმე, მავნე და ჯანმრთელობისთვის მალალი რისკის მქონე პირობებში, შრომის უსაფრთხოების პირობების უკუღმართულობა, მკითხველ და უსამართლო დეკრეტული შეფასებებები, უმუშევრობის კომპენსაციის არარსებობა, რეალურ ინფლაციასთან შეუფერებელი ხელფასები, პენსიები, შექცევადობა.



საქართველოს „შრომის კოდექსი“ პირველი თავის პირველი მუხლის თანახმად: „ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით“.

დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები ცხოვრობენ და შრომით უსაფრთხოებაზე მეტად მუშებს ანაზღაურების პირობები აწუხებთ. ნაწილი ხელშეკრულებით, ნაწილი კი მის გარეშე, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე მუშაობს. ზოგი სახელფასო დავალიანებაზე, ზოგი საერთოდ მის არმდებარე საუბრობს.

კოდექსი ასევე განმარტავს შრომით ურთიერთობას:

1. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მონესრულების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

კოდექსის ამავე ქვეთავის მიხედვით: დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. თუმცა, სამწუ-

ეც. „მახტა“. მშენებლობაზე დასაქმებულებს მუშაობა სპეციალური ფორმებისა და ჩაფხუტების გარეშე უწევდათ. ყოველივე ამან კი არაკომპენსირებადი შედეგი გამოიღო. სამი მშენებელი სამუშაოს შესრულებისას დაიღუპა.

ამავე კოდექსის მეორე თავის მე-6 მუხლის თანახმად: „დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე“, ბალის მენჯერი ამ აქტისგან გაურკვეველი მიზეზის გამო თავს იკავებს. ხათუნა გავაშელიშვილის ამჟამინდელი სამუშაო კი რისკის ქვეშ დგას, ხვალ შეიძლება მენჯერს მისი თვალის ფერი არ მოეწონოს და იგი სამსახურიდან დაითხოვოს.

რაც შეეხება რეგულაციას, რომლის მიხედვითაც ზეგანაკვეთური სამუშაო მხოლოდ 48 საათის მერე ხდება ანაზღაურებადი, როგორც ჩანს, ამით კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ დღეში ერთი საათი (ცვლილებების თანახმად ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური შრომა კვირაში 7 საათი გამოდის) ზეგანაკვეთური შრომა არ უნდა ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას, რაც არც თუ ისე დამაჯერებელი არგუმენტია და უდავოდ მეტ განმარტებას საჭიროებს.

მსგავსი ვითარება არასეზონურად მომუშავე ბარ - რესტორნებშიც, სადაც დასაქმებული, კვირაში კოდექსით გათვალისწინებული 40 საათის ნაცვლად, საშუალოდ 70 - დან 80 საათამდე მუშაობს, ხოლო მისი დღიური ანაზღაურება 10 ლარს, უკეთეს შემთხვევაში კი, 15 ლარს შეადგენს.

ზეგანაკვეთური შრომის მინიმალური ანაზღაურების ნორმატივად განსაზღვრა ასევე ახალია ქართული კანონმდებლობისთვის, თუმცა, საკმაოდ აპრობირებულია დასავლეთის ქვეყნების შრომით კანონმდებლობაში და დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, მოქმედი კოდექსი არ უზრუნველყოფს ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას. ცვლილებების მიხედვით, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება სავალდებულო ხდება გაზრდილი ტარიფით (1,25 - ჯერ). უცნაური ისაა, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება სავალდებულო კვირაში მხოლოდ 48 საათს მიღმა გათვალისწინებული, იმის მიუხედავად, რომ სამუშაო კვირა 41 საათით განისაზღვრება და არა 48 - ით. ასევე შეიზღუდა 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისა და შრომის მძიმე, მავნე ან საშიშროებისა სამუშაოზე დასაქმებულის სამუშაო დროის ხანგრძლივობა და იგი არ უნდა აღემატებოდეს 36 საათს კვირაში. ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს კვირაში.

ხელშეკრულების არარსებობის გამო შპს „ბავილ ჯორჯიაში“ 2013 წლის დასაწყისში სრულიად აბსურდული მიზეზებით სამსახურიდან გაათავისუფლეს 13 თანამშრომელი. ძირითადად ოპერატორები. გათავისუფლების მიზეზად შემცირების მოიყვანეს. თუმცა, მოკვლევის თანახმად, შემცირებები არსებითად არ განხორციელებულა და ეს ყველაფერი მხოლოდ მიზეზი იყო და სხვა არაფერი. მით უმეტეს, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში სანარმოს შემოსავალი კი არ შემცირდა - პირიქით, გაიზარდა.

შრომელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წელს აქციები თბილისის გარდა ბათუმში, კაზრეთსა და ქუთაისში ჩატარდა. მნიშვნელოვანია ბათუმში ჩატარებული მსვლელობა, აქციის წევრები მივიდნენ სამკერვალო ფაბრიკასთან, სადაც ადამიანებს მონებივით ამუშავებენ მინიმალურ ხელფასზე. ხელფასის სიმცირისა და სამუშაო საათების ხანგრძლივობის გამო, ბევრი მათგანი იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს სამუშაო. დღეს საქართველოში უხეშად ირღვევა მშრომელების უფლებები, ამიტომაც საჭიროა საზოგადოება გაერთიანდეს და ერთობლივი ძალისხმევით იბრძოლოს მშრომელების უფლებებისათვის.

შრომის კოდექსის მე-8 თავის 35-ე მუხლის თანახმად „უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უფლების თაობაზე“: „დასაქმებულს უფლება აქვს, უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო, ამკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მისთვის პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.“

შრომის კოდექსის მე-8 თავის 35-ე მუხლის თანახმად „უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უფლების თაობაზე“: „დასაქმებულს უფლება აქვს, უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო, ამკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მისთვის პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.“

36 წლის წელი ვაშყმაძე (სახელი და გვარი შეცვლილია) უკვე მესამე წელია კერძო ბაღში ძიხად მუშაობს. 50 - საათიანი სამუშაო კვირა, მინიმალური ანაზღაურება და მოთხოვნის მიუხედავად დაუდებელი ხელშეკრულება საკმარისია იმისათვის, რომ შრომის კოდექსის უმოქმედობაში დაერწმუნდეთ. მიუხედავად იმისა, რომ

თინათინ ჩიტაძე  
ფოტო: მარიამ გაბისონია  
www.batumelebi.ge



შრომის კოდექსის მე-8 თავის 35-ე მუხლის თანახმად „უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უფლების თაობაზე“: „დასაქმებულს უფლება აქვს, უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო, ამკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მისთვის პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.“

საზოგადოებრივი, დაუცველია მშენებლობებზე მუშაობა უსაფრთხოება. კერძოდ: ფოთში დევნილთა საცხოვრებლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის გარეშე მიმდინარეობდა: ღიად დატოვებული ამოსაშენებელი კედლების, აივნების, ფანჯრებისა და კარების ადგილები მუშის ვადმოვარდნის საფრთხეს ქმნიდა. უსაფრთხოების დაუცველობაზე მიანიშნებს შენობის შიგნით სართულებს შორის ღია სივრცე და ლიფტის

ახალი ამბები საქართველოში სომხეთის საელჩოსთან სოლიდარობის აქცია ბაიბართა

გიუმრიში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით 17 იანვარს საქართველოს მოქალაქეებმა სომხეთის საელჩოსთან ყვავილები და სანთლები მიიტანეს. „შევიკრიბეთ, რათა გამოვგვხატა მხარდაჭერა და სოლიდარობა ჩვენი მოძმე სომეხი ერის მიმართ და დაგვეგმო ის ტრაგედია, რაც გიუმრიში მოხდა“, - განაცხადა აქციის ორგანიზატორმა გიორგი ჩინჩალაძემ.



თვის ჩვილი, რადგან მისი მკვლელობის დროს პერმიაკოვს ავტომატმა გაუჭედა და სამხედრომ ჩვილი ბავშვის ხიშტი მოკვლა სცადა.

შეგახსენებთ, რომ 12 იანვრის დღის 6 საათზე რუსმა სამხედრო მოსამსახურემ ვალერი პერმიაკოვმა სომხეთის ქალაქ გიუმრიში, სადაც რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზაა დისლოცირებული, ავტომატური იარაღით ავეტისიანების ოჯახის ექვსი წევრი მოკლა, დაღუპულთა შორის, 2 წლის გოგონაა. გადარჩა მხოლოდ 6

როგორც პერმიაკოვმა დაკავების შემდეგ განაცხადა, მას რუსულ არმიამდე ყოფნა არ უნდოდა და ამიტომ გაიქცა. ქალაქში ის წყლის დასაღვად ერთ-ერთ სახლში შეიპარა. ოჯახს ხმაურზე გაეღვიძა, ჯარისკაცს შეეშინდა, რომ ავეტისიანები მის იქ ყოფნას სარღობას შეატყობინებდნენ და ოჯახი ამოხოცა. როგორც გაირკვა, ეს პერმიაკოვის რუსული ჯარიდან გაქცევის პირველი შემთხვევა არ იყო.

ვერიკო გელაშვილი  
ფოტო: www.google.ge

# ქართული ბალეტი კულისებს მიღმა

მაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მაყურებელს მთელი დროს სხვადასხვა სპექტაკლით ანებივრებს. ეს თეატრი ერთი შეხედვით ბალეტის მოყვარულთათვის სასიამოვნო ამბავი უნდა იყოს, თუმცა, ერთ-ერთი ქართველი ქართული ბალეტის პრობლემატიკას განიხილავს. მისი აზრით, ქართული ბალეტი დღეს არც თუ ისე სახარბიელო ვითარებაშია, ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედება შეიძლება ითქვას, რომ აღარც არსებობს, დასი განახევრებულია, მოცეკვავეებს რთული პირობებში უწევთ მუშაობა, სპექტაკლები შემცირებული და გადაკეთებულია. დასში უცხოეთიდან ჩამოყვანილი, საკმაოდ სუსტი ახალგაზრდები ცეკვავენ, ხოლო ქართველი მოცეკვავეები საზღვარგარეთ მიდიან. ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად საინტერესოა ანრი აქეს ოპერისა და ბალეტის თეატრის ადმინისტრაციას.



ბალეტის ქორეოგრაფის, მარიამის თქმით, (რესპონდენტის თხოვნით სახელი შეცვლილია), ქართული ბალეტი, ის, რასაც ვახტანგ ჭაბუკიანმა საფუძვლი ჩაუყარა, დღეს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და ამის მიზეზი ისეთი საბალეტო სკოლის არარსებობაა, რომელიც სრულფასოვან განათლებას მიაღებინებს ახალგაზრდებს.

„შორიდან ჩანს, თითქოს ყველაფერი კარგადაა, თუმცა საქმე ასე სულაც არ არის. ვახტანგ ჭაბუკიანის წლების წინ შექმნილი საქმე ჩაიშალა. დასში არ არის შესაბამისი პირობები საცეკვაოდ, კლასიკური რეპერტუარი, დიდი ბალეტები, რომლებზეც მსახიობი უნდა გაიზარდოს, აღარ იდგმება, ვერაფერი ვითარდება. ახალგაზრდები იძულებულნი არიან, საზღვარგარეთ წავიდნენ და მიეცეს საშუალება ამ ფაქტს, რადგან, ისინი კონკურენტუნარიანები ხდებიან, როდესაც გარკვეულ ეტაპს აღწევენ და აქ მათი განვითარების საშუალებას შემდგომში ვერაფერი ხედავს.“ - ამბობს ქორეოგრაფი.

ამ თემასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული შეხედულება აქვს ოპერისა და ბალეტის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ხათუნა იოსავას, რომელიც ქართული ბალეტის დღევანდელ ისტორიას ნათელ ფერებში ხედავს. მისი თქმით, ქართული ბალეტის ამჟამინდელი დონე საერთაშორისო სტანდარტს შეესაბამება და მთელ მსოფლიოში მისაღებაა, რადგან აქ ყველა კლასიკური ბალეტი იქმნება. ამჟამად დასი ვახტანგ ჭაბუკიანის ცნობილი ბალეტის „გორდას“ აღდგენაზე მუშაობს. ნინო ანანიავის ინიციატივით სწორედ „გორდას“ იქნება პირველი სპექტაკლი, რომლითაც საბალეტო დასი ოპერისა და ბალეტის თეატრის განახლებულ შენობაში შევა. მინიმუმ ორი პრემიერის გარეშე არც ერთი სეზონი არ გადის, იდგმება ასევე თანამედროვე ბალეტებიც, რომლებსაც უცხოელი ქორეოგრაფები დგამენ, მათ შორისაა ირუი კილიანი.

„ირუი კილიანი მსოფლიო კლასის ქორეოგრაფიაა, რომელიც ყველა თეატრს არ აძლევს უფლებას, დადგას თავისი ბალეტი და საქართველოში ქალბატონი ნინო ანანიავის ავტორიტეტის გამო მოკვცა უფლება მისი ბალეტი ვიცეკვოთ. ასეთი შემთხვევები კი ხელს უწყობს ქართველი მოცეკვავეების პროფესიონალიზმის დონის ამაღლებას. ჩვენს დასში 9 უცხოელი, მათ შორის 1 ბრიტანელი, კანადელი, ესპანელი, ამერიკელი და 6 იაპონელი მოცეკვავე ცეკვავს ხელშეკრულებით.“ - თქვა ხათუნა იოსავამ.

მისივე ინფორმაციით, დასში ამ დროისთვის დაახლოებით 63 ადამიანი ცეკვავს, რაც შეეხება ქართველებს, ისინი აქტიურად არიან ჩართულები და ცეკვავენ მთავარ პარტიებს ბალეტებში. უცხოელი სტაჟიორები კი აქ შესაბამისი განათლებას იღებენ ნინო ანანიავისთან მუშაობისას, რადგან მათთვის დიდი პატივია, ქართველი პრიმა-ბალერინას დასის მოცეკვავეებად ყოფნა. უცხოელ სტაჟიორებთან ურთიერთობა ქართული ბალეტის განვითარებისთვის საკმაოდ მნიშ-

ვნელოვანი საკითხია, რადგან, ქართულ ბალეტს ადამიანური რესურსის დეფიციტი აქვს, რაც მამრობითი სქესის მოცეკვავეების სიმცირეში გამოიხატება. ამ ფაქტის დასადასტურებლად გავითი „ტელეგრაფი“ დაუკავშირდა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელს ქეთევან მონონელიძეს, რომლის მიერ მონოლოგებში ინფორმაციით, დღეისათვის სასწავლებელში 106 ბავშვი სწავლობს. მათგან 92 გოგოა, 14 კი - ბიჭი. პირველ კლასში 18 გოგონა მხოლოდ ერთი ბიჭი მოდის.

„ბიჭების პრობლემა სტერეოტიპული ამროვნების შედეგია. არასწორი შეხედულებების გამო მშობლებს არ შემოჰყავთ შვილები ბალეტზე, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ბალეტზე შვილის შეყვანა ბავშვის ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების საინტერესოა.“ - განაცხადა ხათუნა იოსავამ.

თუმცა ქართულ ბალეტს, ადამიანური რესურსის დეფიციტის გარდა, სხვა პრობლემა აქვს და ერთ-ერთი გამომწვევა შენობის არქონაა. 5 წელია, რაც ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით სარესტავრაციო სამუშაოები უტარდება ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობას, ამ დროის მანძილზე მოცეკვავეებს სხვადასხვა სცენაზე უწევთ ცეკვა. ამჟამად ისინი მუსიკისა და დრამის თეატრში ვარჯიშობენ, ბალეტები კი ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის სცენაზე იდგმება.

„მოგეხებათ, ბალეტს სივრცე სჭირდება და ის ყველა თეატრის სცენაზე ვერ იდგმება. დიდი წვალეების შედეგად, გრიბოედოვის სცენაზე ცეკვავენ მოცეკვავეები, თუმცა არც აქ არის შესაბამისი გარემო, სამწუხაროდ. ქალბატონი ნინოს დამსახურებით, შენობის პრობლემის მიუხედავად, დასი არ გაჩერებულა 5 წლის მანძილზე და იგი გამუდმებით მუშაობდა. წელიწადში 2 პრემიერა მაინც იდგმებოდა. ქალბატონი ნინო ანანიავისი ყველაფერი აკეთებს იმისთვის, რომ დასის მოცეკვავეებს შესაბამისი პირობები შეუქმნას და ეს ხელფასების ყოველწლიურ ზრდაშიც გამოიხატება. დასის მოცეკვავეების საშუალო ხელფასი ამ დროისთვის 1000 ლარია და ეს მზარდი პროცენტია.“ - ამბობს ხათუნა იოსავა.

საკუთარი ანაზღაურებით კმაყოფილია დასის სოლისტი, ნინო სამადაშვილი, რომლის თქმითაც, ქართული ბალეტის რეალობიდან გამომდინარე, მას ძალიან კარგი ხელფასი აქვს, თუმცა ზუსტი ციფერი არ დაუსახელებია.

ხათუნა იოსავას არ ეთანხმება მარიამი (ქორეოგრაფი), რომლის თქმითაც, დასის მოცეკვავეების ხელფასი 500 ლარს, ხოლო ხელზე აღებისას 400 ლარს შეადგენს. ხელფასებთან დაკავშირებით იგი 2010 წელს იაპონიისში მომხდარ სკანდალს იხსენებს, სადაც მისი თქმით, ხელფასების უქონლობისა და შეუსაბამო პირობების გამო ქართული დასი დიდ სკანდალში გაეხვა. „მოცეკვავეებს მეტროსა და საჭმლის ფული არ ჰქონდათ,



ნომეო და ჯულიეტა

როდესაც გასტროლზე 1000 ლოლარს იღებ, მთელ თანხას უცხოეთში ხომ ვერ დახარჯავ? თანაც იქ, სადაც, ერთი ვაშლი 8 ლოლარს ღირს, განა რა ფული უნდა ჩამოიტანონ მოცეკვავეები სამშობლოში? ვარდა ამისა, ამერიკის გასტროლებსაც რომ შეეცხოთ, აქ ისე ამუქმენ მოვლენებს, თითქოს ყველაფერი არააჩვეულებრივად და დასი ამერიკაში ცეკვავს, თუმცა საქმე რეალურად სხვაგანადაა. დილის 12 საათზე „გედების ტბა“ იდგმება ამერიკაში, სადაც ყინვასა და თოვლში მოცეკვავეებს პუანტებში უწევთ ვარდნი გადასვლა ცეკვებს შორის, რადგან კულისები არ აქვთ. ადგილი საშინელია, უფრო ბოსნელს მიაგავს. ასეთ პირობებში ვინ უნდა იცეკვოს? რა ბალეტმა უნდა იარსებოს საერთოდ?“ - განაცხადა ქორეოგრაფმა.

ნინო სამადაშვილის თქმით, იგი არ იმყოფებოდა იაპონიის სკანდალის დროს გასტროლზე, თუმცა, სხვა ქვეყნებში ყოფილის მაინც კმაყოფილია შესრულებული სამუშაოთი: „გასტროლები ბევრ ქვეყანაში გვქონია სრულიად მისაღები პირობებით, ანაზღაურება, რასაც გვიხდიან, საკმარისია ამა თუ იმ ქვეყანაში ცხოვრებისთვის. რაც შეეხება ცეკვისთვის საჭირო პირობებს, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში ერთნაირი პირობები არ არის, მაგრამ ეგ ის დეტალებია, რომლებიც ცეკვაში ხელს არ გვიშლის.“

ოპერისა და ბალეტის თეატრის ადმინისტრაციის



გედების ტბა

ტრავისის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დასში 63-მდე ადამიანია, რაც, ქორეოგრაფის თქმით, არასაკმარისი რაოდენობაა, რათა მინიმუმ 100-120 კაცი უნდა ცეკვავდეს, რათა სრულფასოვანი ბალეტი დაიდგას: „არ მიძღვნა 4 მოქმედებაში ერთი და იგივე ბალეტინა ცეკვავენ, თუმცა ახლა ბალეტები 2 და 1 მოქმედებებიანდა გადაკეთებული და 4 მოქმედებებიანი ბალეტი არც არის, მოცეკვავეების სიმცირის გამო. დასში შეუსაბამო პირობებს მოცეკვავეები აპროტესტებენ, მოთხოვნისთვის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი ტოვებენ საქართველოს. საბოლოოდ, დასში სულ უფრო და უფრო ცოტა ადამიანი რჩება.“

ქართული საბალეტო დასის ყოფილმა მოცეკვავემ, დღეს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ცეკვის დეპარტამენტის მაგისტრანტმა და ქორეოგრაფმა ირაკლი შენგელიამ ქართული ბალეტის პრობლემატიკასთან დაკავშირებით გაზეთ „ტელეგრაფს“ შემდეგი სახის კომენტარი მისცა: „ქართული ბალეტში არსებული სირთულეები იმის ბრალია, რომ მის ერთპიროვნულ მმართველს, ნინო ანანიავისს, წარმოდგენაც კი არ აქვს როგორი საბალეტო თეატრის შექმნა სურს, ან საერთოდ, რას შეეჭადა 10 წლის წინ. სამწუხაროდ, ჩემი კომენტარი მხოლოდ ეს არის, რადგან არანაირი საერთო არ მინდა მქონდეს ნინო ანანიავისთან, ან საქმესთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ეს ქალბატონი.“

ამ კომენტარს დასის ადმინისტრაცია შემდეგნაირად პასუხობს: „შევიძლია შევადაროთ, რა მდგომარეობაში იყო ქართული ბალეტი 10 წლის წინ, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა მსოფლიოში აღიარებული პრიმა ბალერინა ნინო ანანიავისი და ქართული ბალეტის აღორძინებას ჩაუდგა სათავეში. 10 წლის წინ მოცეკვავეები გაყინულ დარბაზებში ცეკვავდნენ, ხელფასები ჰქონდათ 200 ლარამდე, რეპერტუარიც იყო მწირი. დღეს ჩვენი საბალეტო დასის რეპერტუარში 57-მდე სპექტაკლია, რომელიც მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში

დაიდგა, ჩვენ ვცეკვავთ როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ბალეტებს, რაც ჩვენი მოცეკვავეების კლასს ზრდის და სწორედ ამიტომ ჩვენს რამდენიმე მოცეკვავეს შანსი გაუჩნდა უცხოეთის დასებში იცეკვონ. ეს ჩვეულებრივი პროცესია მთელს მსოფლიოში - როდესაც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, გინვევენ სხვადასხვა ქვეყანაში. ამაში ქართველ მოცეკვავეებს თავად ნინო ანანიავისი ეხმარება და უწევს რეკომენდაციებს.“ - აცხადებს ხათუნა იოსავა.

ქორეოგრაფიული სასწავლებლის ყოფილი მოსწავლის, ახლა კი საკმაოდ აქტიური მაყურებლის, ლელა ლეუვაას აზრით, ქართული ბალეტი არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია: „გასულ თვეს ერთ სპექტაკლად იყო წარმოდგენილი „დონ კიხოტი“, „გედების ტბა“ და „რამონდა.“ ეს ყოველივე შეუსაბამო ბალეტის სიუჟეტებიდან გამომდინარე. ეს სიტუაცია ბალეტის მოცეკვავეების სიმცირითაა გამოწვეული და როგორც არ უნდა უარყოს ეს ბალეტის ხელმძღვანელობამ, სრული სიმართლეა. ამაში დასარწმუნებლად საჭაროდ გამოიმუხურებული აფიშაც კმარა. თუ ბალეტის ხელმძღვანელობა უარყოფს დასში მოცეკვავეთა სიმცირეს, მაშინ რა უშლით ხელს სრულად სპექტაკლების წარმოდგენაში? რატომ ვეძალებით ერთმომქმედებიან ბალეტებს, სადაც მცირე რაოდენობის მოცეკ-

ვავეებია საკმარისი? რატომ აღარ დარჩა, ფაქტობრივად, ქართველი მამაკაცი სოლისტები?“ - თქვა ლელა ლეუვაამ.

სპექტაკლების გადაკეთებასა და შემცირებას სცენის უქონლობით ხსნის დასის სოლისტი, ნინო სამადაშვილი. მისი თქმით, დიდი სპექტაკლების დასადგმლად არ არის ისეთი სცენა, რომელიც ხალხის იმ რაოდენობას დაიტევდა, რასაც ოპერისა და ბალეტის თეატრი იტევდა.

თუმცა ბალეტი ადამიანების დეფიციტს არამარტო დასში, არამედ მაყურებლის მხრიდანაც განიცდის და ამაზე გულისტკივილით საუბრობს ხათუნა იოსავა: „ბილეთები 5დან 25 ლარამდე მერყეობს, მიუხედავად ამისა, ქართველი საზოგადოება ვერ იმეტებს ფული ბალეტისთვის, რომ დაესწროს დადგმებს, ეს ჩვენი კულტურის მინუსია. რა თქმა უნდა, არის სპექტაკლები, რომლებზეც სრული ანზღაურა, თუმცა მაყურებლის სიმცირით ბევრი სპექტაკლი ბარალდება. ამაზე გარკვეულწილად ტერიტორიამ და ჩვენი შენობის უქონლობამაც მოახდინა გავლენა, თუმცა მაყურებლის სიმცირეს ოპერისა და ბალეტის თეატრშიც ვუჩიოლით.“

ადმინისტრაციის მიერ მონოლოგებული ინფორმაციით, თანამედროვე სტანდარტებით აგებული ოპერისა და ბალეტის შენობა, სავარაუდოდ, გაზაფხულზე გაიხსნება, მოცეკვავეები კი იქ იანვრიდან შეძლებენ გადასვლას. ისინი იმედოვნებენ, რომ ყველა პრობლემა ეტაპობრივად მოგვარდება და ამას ხელს ახალი და, რაც მთავარია, მათი საკუთარი შენობის ქონა შეუწყობს ხელს. თუ რამდენად მოაგვარებს ქართული ბალეტის პრობლემებს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის რესტავრირებული შენობა, როგორც ხათუნა იოსავამ თქვა, ამას საქმე გვიჩვენებს.

თამარ მალაქუელიძე  
ფოტო: ოპერისა და ბალეტის თეატრის ადმინისტრაცია



2015 წლის ბიუჯეტი ცნობილია

12 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცა. დოკუმენტი პლენარულ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა წარადგინა. მან ასევე ისაუბრა მიმდინარე წლის ეკონომიკურ ტენდენციებზე და საკადასტრო შემოსავლების დინამიკაზე. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტი განისაზღვრება 9 მილიარდ 350 მილიონი ლარის ოდენობით. ამავე ბიუჯეტში გაჩერდება ის, რომ ხელისუფლებამ 3 - მილიარდიან სამიუჯეტო ვალს იღებს. 2015 წელს კვლავ გავრცელდება სოციალური პროგრამების დაფინანსება ამასთან, გაძლიერდება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები.

2015 წლის ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული დამატებითი საგადასახადო შემოსავლების ნაწილი ზემოაღნიშნული მიმართულებებით დაფინანსების ზრდას მოხმარდება და ამავე დროს განხორციელდება საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება მშპ-ის 3%-მდე. რაც შეეხება ხარჯებს, მომავალი წლის ბიუჯეტი მინაარსობრივად, იმეორებს 2014 წლის პრიორიტეტებს. ბიუჯეტის პროექტის თანახმად 2015 წელს პრიორიტეტულად ჩაითვლება შემდეგ სფეროები, ესენია: ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურა.

მინისტრმა პარლამენტში უკრანა-ლისტებთან საუბრაში განაცხადა, რომ ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პრიორიტეტებს მოსახლეობაზე ზრუნვა, ჯანდაცვის, განათლების სფეროების დაფინანსება და საპენსიო უზრუნველყოფა წარმოადგენს. „300 მილიონი ლარია გათვალისწინებული სოფლის მეურნეობაში, მილიარდი ლარი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯება. საპენსიო ხარჯების ზრდის პარალელურად იზრდება ინფრასტრუქტურული ხარჯები, - ამბობს ნოდარ ხადური.

სხდომაზე მინისტრმა ასევე განმარტა ისიც, რომ 5 %-იანი ეკონომიკური ზრდა ყველაზე მაღალი იქნება რეგიონებში. ხადურმა ისიც აღნიშნა, რომ ყველა პროცესი, რომელიც მებრუნებელ ქვეყნებში მიმდინარეობს, საქართველოს ეკონომიკაზეც აისახება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ ნეგატიურია. მათი აზრით, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ეკონომიკის 5% - იანი ზრდა, განვითარების ისეთ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, არის დაბალი მაჩვენებელი. ნაციონალური მოძრაობის აზრით, 3 მილიარდამდე ლარის ვალის აღება ნეგატიურად აისახება ქვეყნის ბიუჯეტზე. მიუხედავად იმისა, რომ ვალის მოსახლეობის მხრივ საქართველო ამჟამად არ არის კრიტიკულ მდგომარეობაში, ასეთი მასშტაბის ვალის აღება არის ნეგატიური ტენდენცია, რომელიც უნდა აღიკვეთოს რაც შეიძლება სწრაფად.

2015 წლის ბიუჯეტს ალასანიას თანაგუნდლები მხარს არ უჭერენ. განცხადება ამის შესახებ ფრაქცია „თავისუფალი

დემოკრატების ხელმძღვანელმა, ირაკლი ჩიქოვანმა გააკეთა. ჩიქოვანი არ იზიარებს ნოდარ ხადურისა და მთავრობის მიერ შემუშავებული ბიუჯეტის პროექტს და აცხადებს, რომ პროექტი დასახვეწია.

„2015 წლის ბიუჯეტის პროექტში ბევრი საკითხი და ელემენტი, რომელსაც ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ მხარს ვუჭერთ. თავის დროზე ჩვენ მონაწილეობა



მიღებული გვაქვს ბიუჯეტის შემუშავებაში და ვთვლით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვის სამინისტროს უფრო დიდი ბიუჯეტი გააჩნია, ვიდრე მანამდე ჰქონდა. მაგრამ, მიგვაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის. რესურსების სიმწირე იყო განმაპირობებელი იმისა, რომ ორ წელიწადში 30 000-მდე ჯარისკაცის კვების საკითხი ვერ მოგვარდა, - განაცხადა ჩიქოვანმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

რაც შეეხება ექსპერტების პოზიციას, ექსპერტი დემურ გიორხელიძე ამბობს, რომ 2014 წლის მსგავსად 2015 წლის ბიუჯეტიც ფორმალურად შესრულდება. გიორხელიძის თქმით, ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია.

ექსპერტ ნუცა თოხაძეს მიაჩნია, რომ ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილის ვერ-შესრულებას სხვადასხვა უწყებას შორის კოორდინაციისა და მენეჯმენტის პრობლემა განაპირობებს. „თუ წელს დარჩენილი აქტივობები მომავალ წელსაც გადაინაცვლებს, მაშინ 2015 წელს

დაგეგმილი პროექტების განხორციელება, სავარაუდოდ, შესაძლებელია, რომ შეფერხდეს, რაც ამავე დროს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება“ - ამბობს ნუცა თოხაძე.

ჯანდაცვა, რომელიც ერთ - ერთი პრიორიტეტული სფეროა მომავალი ბიუჯეტის პროექტში, ითვალისწინებს არა მარტო სოციალურ დაფინანსებას, არამედ საპენსიო უზრუნველყოფას, რომლისთვისაც 2 მილიარდი ლარი გამოიყოფა. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისთვის ბიუჯეტი გამოყოფს - 652,5 მლნ ლარს, ხოლო სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის, ანუ განვითარებისთვის, სულ - 35,0 მლნ ლარი გამოიყოფა. ჯამში ჯანმრთელობის სფეროში, სამინისტროს დაფინანსება 2 მილიარდ 750,0 მლნ ლარს აღწევს.

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გა-

როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროზე საქართველოში. მან ისაუბრა ბიუჯეტის ოდენობაზე, რომელიც ამ სფეროს მოხმარდება, ბიუჯეტი შეადგენს 828,9 მლნ ლარს, ბიუჯეტის ოდენობა გასულ წელთან შედარებით გაზარდილია 74,6 მლნ ლარით. აქედან საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გათვალისწინებული დაახლოებით - 110,0 მლნ ლარი.

თავდაცვის სამინისტრო მიიღებს 625,0 მლნ ლარს. „დეტა“ და მის დაქვემდებარებაში მყოფი კვლევითი ცენტრების დაფინანსება გადატანილია ეკონომიკის სამინისტროში. ასევე ცალკე უწყებად არის გამოყოფილი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული 100,0 მლნ ლარი, რომელიც წინა წლის რაოდენობასთან შედარებით 10 მლნ ლარით არის გაზარდილი.

ენერგეტიკის სამინისტროსთვის გამოყოფილია 135,0 მლნ ლარი, 2014 წლის მაჩვენებელზე 20 მლნ-ით მეტი.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 85,0 მლნ ლარი, რაც წინა წლის რაოდენობაზე 5 მილიონით მეტია.

მიმდინარე წელთან შედარებით გაზარდილია მთავრობის სარეზერვო ფონდი და შეადგენს 70,0 მლნ ლარს. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა გაზარდილია 54,1 მლნ ლარით და შეადგენს 850,0 მლნ ლარს. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე კიდევ მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების სტატისტიკური მონაცემების დაზუსტება, რის შემდგომაც, გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობები შესაძლებელია დაკორექტირდეს.

შეიძლება ითქვას, რომ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი ძირითადად იმეორებს 2014 წლის პროექტის ტენდენციებს, როგორც მთლიანი მოცულობის, ასევე პრიორიტეტულობის თვალსაზრისით. არც ერთი მიმართულებით მკვეთრი ცვლილება, წლებგანდევლ მდგომარეობასთან შედარებით, პრაქტიკულად დაგეგმილი არ არის. განსაკუთრებული აქცენტი, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების თვალსაზრისით, ბიუჯეტში არ იკვეთება, ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე კი, ბიუჯეტის 10 პროცენტია გამოყოფილი.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „ძლიერი, დამოკრატული, ერთიანი საქართველოსთვის“, შესრულებას.

ია რუსიშვილი ფოტო: www.google.ge

ახალი ამბები

„საქპატენტსა“ და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევით ცენტრს შორის ხელშეკრულება გაფორმდა

სოფლის მეურნეობის პროდუქციის - ქართული ადგილობრივობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 15 იანვარს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტსა“ და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევით ცენტრს შორის ერთობლივ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. როგორც მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე მხარეებმა განაცხადეს, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება

ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის ხარისხიანობას. ამასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ „საქპატენტის“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ გოგლიძემ განაცხადა: „ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს „საქპატენტსა“ და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრს შორის, რომელიც მიმართული იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენასა და დაცვაზე. გეოგრაფიული აღნიშვნების პროექტი ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის ხარისხის

გარანტიას, რაც ევროპის ბაზარზე თავის დამკვიდრების გარანტიას წარმოადგენს. ამჟამად საქართველოში წარმოებული პროდუქციიდან 30-ზე მეტი რეგისტრირებულია, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა, რომლის დიდი ნაწილი ქართულ ექსპორტს წარმოადგენს. „საქპატენტის“ ინფორმაციით, 2014 წელს ევროკავშირის პროგრამის ENPARD ფარგლებში მომზადდა სპეციფიკაციები ოთხი ახალი გეოგრაფიული აღნიშვნის (ახალქალაქის კარტოფილი, ქუთაისის მწილი, ტყიბულის ჩაი, მაჭახელას თაფლი) რეგისტრაციისთვის და ჩამოყალიბდა ამ სახელების გამოყენების მენეჯმენტის ოთხი ასოციაცია. „საქპატენტის“ ცნობით, ყოველწლიურად ევროკავშირის ქვეყნები 100-ზე მეტ ახალ გეოგრაფიული აღნიშვნით დასულ პროდუქციას არეგისტრირებენ. როგორც გამოკვლევები აჩვენებენ, გეოგრაფიული აღნიშვნის მატარებელი პროდუქციის ღირებულება საშუალოდ 2.5-ჯერ აღემატება ანალოგიური სხვა პროდუქტების ფასს და ბაზარზე განსაკუთრებულად მაღალი მოთხოვნილებით სარგებლობს. გეოგრაფიული აღნიშვნები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნების რეგიონულ განვითარებაში, კერძოდ, მათი გამოყენება შესაბამის რეგიონებში ხელს უწყობს ახალი მემორანდუმით ფორმდება.



შემოსავლების საგრძნობ ზრდას, ამცირებს რეგიონებიდან სამუშაო ძალის გადინებას და ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ადგილებზე დამაგრებას; ზრდის რეგიონის ცნობადობას და ხელს უწყობს აგრარული ტურიზმის განვითარებას.

„საქპატენტსა“ და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს შორის უკვე შედგა წინასწარი შეთანხმება ამ მიმართულებით ძალისხმევების გაერთიანებისა და ერთობლივი სამუშაოების ჩატარების თაობაზე, რომელიც ამჟამად შესაბამისი მემორანდუმით ფორმდება.

ნათია დეკანოიძე ფოტო: www.google.ge



გოთური სახლები რესტავრაციის მოლოდინში

კატერინენფელდში, ანუ დღევანდელ ბოლნისში, ძველი გერმანული სახლები მძიმე მდგომარეობაშია. წლებია, საუბრობენ გოთური სტილის სახლების რეკონსტრუქციაზე, მაგრამ დღემდე შენობებს აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებიათ. მოსახლეობა და ისტორიკოსები სახლების აღდგენას და მათთვის ისტორიული ძეგლის სტატუსის მინიჭებასა და დაცვას ითხოვენ.

ბოლნისის ცენტრალური მაგისტრალის ორივე მხარეს მდგარი კორპუსებისა და სტანდარტული არქიტექტურის მქონე საცხოვრებელი სახლების შემხედვარე, ძნელად თუ წარმოიდგენ, რომ აქ აღდგენილი გერმანული ცხოვრობდნენ, მაგრამ საკმარისია, ბოლნისის ცენტრალური მოედნის ქვედა უბანში ორსართულიანი, დიდიფენიანი სახლები დაათვალიერო, რომ სოფლის - კატერინენფელდის არსებობაში მაშინვე დარწმუნდები. ბოლნისი ერთადერთი ქალაქია, სადაც გოთური სტილის სახლები პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.

დაწყებითი კლასების პედაგოგი, მზიართველიაშვილი ფარნავაზ მეფის 46-ში მდებარე ორსართულიანი სახლის აივანს ვეათვალისწინებ. ახლა ბოლნისში წვიმს და ხის დაზიანებული ჭერიდან წყალი ჩამოდის, კედლები გაბზარული და ბათქაშამოცვენილია. „აქ ისევე წვიმს, როგორც გარეთ, კედლების ნახევარი ჩამოშლილია, ჭერი და აივანი დამპალია. ყოველი წვიმისა და თოვლის მოსვლას შიშით ველოდებით, გვეშინია სახურავი არ ჩამოიხრეს. აივნის იატაკი დაზიანებულია და ერთხელაც, ალბათ, ვიღაცას შეინირავს“, - გვეუბნება მზიართველიაშვილი და დაზიანებული აივნის იატაკზე მიგვიანხნებს, რომლიდანაც წვიმის წყალი

როდესაც, ბოლნისის საკრებულოს 2012 წლის მე-16 დადგენილების მე-2 პუნქტის „გ“ პუნქტში ვკითხულობთ: „ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ბოლნისში ძველი გერმანული უბნის რეაბილიტაცია, ქუჩის მოპირკეთება, ფასადებისა და სახლების აღდგენა“.

„როდესაც აქ საკანალიზაციო სისტემა გაწყვედა, ტრაქტორმა ისტორიული სახლის აივანი დააზიანა, ამაზე საყვედური სამუშაოებზე პასუხისმგებელ პირს რომ ვუთხარით, მან გვიპასუხა სახლებს მაინც აღადგენენ და მაგ აივანსაც გამოცვლიანო, მაგრამ ამ აივანს გამოცვლისა და რეკონსტრუქციის არაფერი ეტყობა“. - გვეუბნება ფარნავაზ მეფის ქუჩის მცხოვრები კარინა ნინიაშვილი და დასძენს, რომ სახლების რეაბილიტაციის მოთხოვნით, მოსახლეობამ გამგეობას არაერთხელ მიმართა. „თუ რეაბილიტაციას არ აპირებენ, სახურავები მაინც გამოცვალონ, სახლები ყოველდღე იშლება, ქვები ცვივა და გვეშინია არავინ დაშავდეს, ვარდა ამისა, ეს ისტორიული შენობებია და უსამართლობაა მათი უპატრონოდ მიტოვება. აქ ქვაფენილის დაგებისას იმის მაგივრად, რომ სახლებს გაფრთხილებოდნენ, პირიქით, დაგვაზიანეს“. - ამბობს ბოლნისის მკვიდრი.



ყოფილა. სახლების რეაბილიტაციას რაც შეეხება, ეს მათი წინასაარჩევნო პიარაქცია იყო, რადგან ამ პროექტისთვის არც მუნიციპალიტეტს და არც გერმანიის საელჩოს თანხები არ გამოუყვია“. - ამბობს კონსტანტინე კორძაძე და დასძენს, რომ იცნობს სახლების მძიმე მდგომარეობას, მაგრამ ვინაიდან მათ რეაბილიტაციას დაახლოებით 1 მილიონი ლარი სჭირდება, ეჭვის თვლით უყურებს მის აღდგენას, რადგან მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე საკმარისი თანხები ბიუჯეტში არ გააჩნია.

როგორც მოსახლეობა ჩვენთან საუბარში ამბობს, სახლების მოსახლეობებლად ქალაქს ბევრი გერმანელი ტურისტი სტუმრობს. „თითქმის ყოველ კვირას მოდიან ჩვენს უბანში და ფოტოებს უღებენ გერმანელები შენობებს, თუ ეს სახლები აღდგება, არამართო გერმანელი, არამედ სხვა ეროვნების ტურისტების დაინტერესებასაც გამოიწვევს, რაც ქალაქში ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს და ხალხიც დასაქმდება“. - ამბობს ფარნავაზ მეფის ქუჩის მცხოვრები თალიკო კვესელავა. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს იმისა, თუ რამდენი ტურისტი სტუმრობს ქალაქს. გერმანული უბნების ტურისტულ პოტენციალზე საუბრობს ასევე კონსტანტინე კორძაძე. „რა თქმა უნდა, ამ სახლების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ქალაქის ტურისტულ განვითარებას და, შესაბამისად, ბოლნისის ეკონომიკის ზრდასაც, მაგრამ ეს ყველაფერი რომ განხორციელდეს, საჭიროა ინვესტორი, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს, ჩვენი ბიუჯეტი მართლაც პროექტს ვერ შესწვდება“. - აცხადებს ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი. რაც შეეხება გოთური სტილის სახლებისთვის იტორიული ძეგლის სტატუსის მინიჭებას, ეს პროცესი კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა, რომელზეც მუშაობა კონსტანტინე კორძაძეს ინფორმაციით, ჯერ არ მიმდინარეობს.

სემბურგში 352 გერმანელი დააპატიმრეს, გადაასახლეს ან მოკლეს. 1941 წელს ყველა კავკასიელი გერმანელი, რომელიც ადგილობრივად არ იყო დაქორწინებული, სტალინმა ყაზახეთში ან ციმბირში, ოპერაცია „ბარბაროსას“ პერიოდში გადაასახლა.

საქართველოში ისტორიული ქალაქებისა და უბნების რეაბილიტაციის გამოცდილება უკვე კარგა ხანია არსებობს. 2007 წელს ქალაქ სიღნაღის სრული რეკონსტრუქცია მოხდა, 2011-2012 წლებში კი ქუთაისის ისტორიულ უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. ასევე, წინა წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ძველი თბილისისა და ბათუმის ისტორიულ უბნებს. ქალაქ ბოლნისში ფარნავაზ მეფის ქუჩის გარდა კიდევ სამ უბანშია შემორჩენილი გოთური სტილის სახლები. ტურისტების დიდ ინტერესს ასევე იწვევს გერმანული ორსართულიანი და დარბაზული სტილის უნიკალური სარდაფები, რომლებიც ბოლნისში პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. სახლების მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროა, დროულად დაიწყოს სარემონტო სამუშაოები, რადგან შენობების დიდ ნაწილი უკვე დაზარალებულია მისული. როგორც ისტორიკოსი მაია ქართველიაშვილი აღნიშნავს, საჭიროა გოთური სტილის სახლების სრული გამოკვლევა და ისეთი პროექტის შედგენა, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების შემთხვევაში მათ უნიკალურობას არ შეუქმნის საფრთხეს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი კონსტანტინე კორძაძე შენობების ისტორიული ძეგლის სტატუსის მინიჭების პერსპექტივას მომავალში არ გამოიციხავს და იმედოვნებს, რომ კერძო ინვესტორები „ბოლნისის ისტორიული უბნების რეაბილიტაციის პროექტით“ დაინტერესდებიან. „თუ კერძო ინვესტორები ამ პროექტით დაინტერესდებიან, მუნიციპალიტეტის სრულ მზადყოფნაშია მათთან თანამშრომლობა და ხელი შეუწყოს მათ საქმიანობას,“ - აცხადებს კონსტანტინე კორძაძე.



ბოლნისში გერმანელების ჩამოსახლება 1914 წლიდან დაიწყო და თანდათან ოჯახების რიცხვი 95-დან 350-მდე გაიზარდა. 1930-იან წლებში კავკასიაში გერმანულ კოლონიზაციას სდევნიდნენ და პოლიტიკურად ავიწროებდნენ. საქართველოს ლუქ-

ლიტეტი სრულ მზადყოფნაშია მათთან თანამშრომლობა და ხელი შეუწყოს მათ საქმიანობას,“ - აცხადებს კონსტანტინე კორძაძე.

ბადრი კობიაშვილი ფოტო: მარიამ გაბისონია



პირველ სართულზე ჩადის. ეს სახლი თავისი არქიტექტურით გამორჩეულია, რადგან ორსართულიანი ნაგებობას სამი ჭერი აქვს, რაც გოთური არქიტექტურისთვისაა დამახასიათებელი. „15 წელია ამ უბანში ვცხოვრობ, ეს სახლები ისტორიული ნაგებობებია, სულ გვეუბნებიან, რომ სახლებს რეკონსტრუქციას ჩაუტარებენ, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება“. - ამბობს ფარნავაზ მეფის ქუჩის მცხოვრები თალიკო კვესელავა.

2011 წელს, ბოლნისის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გერმანიის საელჩოსთან ერთად „ბოლნისის ისტორიული უბნების რეკონსტრუქციის პროექტი“ შეიმუშავა, რომლის თანახმადაც, ფარნავაზ მეფისა და სააკუაძის ქუჩაზე მდებარე ძველ გერმანულ სახლებსა და ლუთერანულ ეკლესიას, რომელშიც ახლა სპორტსკოლა ფუნქციონირებს, რეკონსტრუქცია უნდა ჩატარებოდა. 2012 წლის 2 ნოემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, გიორგი დაუშვილი და გერმანიის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, გაბრიელ შაიკე, სარეაბილიტაციო სამუშაოების გახსნას დაესწრნენ. გვემის თანახმად, განახლებული უბნები ტურისტულ ფუნქციას შეიძენდა და მოეწყობოდა ტურისტული ინფრასტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი სახლებისა და ეკლესიის რეკონსტრუქციას ითვალისწინებდა, სამუშაოების შედეგად მხოლოდ საკანალიზაციო სისტემა მოწესრიგდა და ქუჩებში ქვაფენილი დაიგო, მაშინ,

შენობებს ისტორიული ძეგლის სტატუსი მინიჭებული არ აქვს, ამიტომ, როგორც ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მკვლევარი, ისტორიკოსი მაია ქართველიაშვილი ამბობს, რთულდება მათი დაცვა. ისტორიკოსი შენობების მნიშვნელობაზე საუბრობს და დასძენს, რომ გოთური სტილის სახლების რეკონსტრუქცია აუცილებელია. „ამ შენობების ისტორიული მნიშვნელობა ძალიან დიდია, იგი ბოლნისისა და საქართველოს ისტორიის ნაწილია, საჭიროა მათთვის ისტორიული ძეგლის სტატუსის მინიჭება და აღდგენა, რათა ეს უნიკალური შენობები არ დაკარგოთ, ასევე, აუცილებელია, სპორტსკოლამ პირვანდელი სახე დაიბრუნოს და კვლავ ლუთერანულ ეკლესიად გადაიქცეს. მსგავსი არქიტექტურის ნიმუშები საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება“. - ამბობს ისტორიკოსი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ადასტურებს, რომ ლუთერანული ეკლესიის აღდგენის პროექტი მართლაც არსებობს, მაგრამ სახლების რეაბილიტაციის პროექტის არსებობას უარყოფს, კონსტანტინე კორძაძე „ბოლნისის ისტორიული უბნების რეაბილიტაციის პროექტს“ წინა მთავრობის წინასაარჩევნო პიარაქციად აფასებს. „ნაციონალური მოძრაობის დროს საუბარი იყო ეკლესიის აღდგენაზე, სპორტსკოლის გადატანის საპროექტო სამუშაოების გეგმა ახლაც არსებობს მუნიციპალიტეტში, მაგრამ მისი განხორციელებისთვის თანხები წინა მთავრობის დროს არ გამო-

მანდარინები „ოსკარზე“ - დიდი მოულოდნელობა და სიხარული

ამერიკის კინოაკადემიის გადაწყვეტილებით, ოსკარის 87-ე დაჯილდოების ცერემონიაზე უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში ნომინანტებს შორისაა ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“...



კინოაკადემია უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში ნომინანტების შერჩევის პროცესს ორ ეტაპად ყოფს, თავდაპირველად აკადემიამ 83 ფილმიდან მარჩია 9 ფილმი...

„მანდარინები“ 2013 წელს გადაიღეს. ფილმის პროექტმა 2012 წელს საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და „ევრომაუსი“ - ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდის...

და ჩეჩენი მეომრის დამოკიდებულებაა ნაჩვენები, ანუ მტრების ერთ სახლში ურთიერთობა. რეჟისორი ზაზა ურუშაძე მაყურებელს დაპირისპირებისა და შერიგების დაძაბულ ამბავს საოცარი ოსტატობით სთავაზობს...

თქვენ დაადასტურეთ, რომ ქართველები ძალიან ნიჭიერი ვართ. ეს არის თქვენი, ჩვენი და ქართული კინოს გამარჯვება, - „მინდა, გულით მოვილოცოთ ეს აღიარება, წარმატება, რაც არის ქართული კინოს გამარჯვება...“



სერიული „ტიფლისი“ ინტერვიუ რეჟისორ ნოდარ მარშანიშვილთან

2014 წელს, ტელეკომპანია „GDS“-ის ეთერში გამოჩნდა ახალი ქართული კრიმინალური სერიალი „ტიფლისი“, რომელიც მე-19 საუკუნის თბილისის ცხოვრებას გვიჩვენებს...

როდის დაიზადა სერიალის გადაღების იდეა? - გაზაფხულზე, სერიალის რეჟისორსა და პროდიუსერს, ლევან დაბრუნდაშვილს გაუჩნდა იდეა, რომ გაგვეკეთებინა მხატვრული ფილმი...

ერთთვიანი მოსამზადებელი კურსი გვქონდა, მუშაობა დაიწყო ზაფხულში, გადაღებები, უშუალოდ, 12 აგვისტოს. - რა პრინციპით შეიარაღა მსახიობები? - ზოგადად, მსახიობთა შერჩევას წესები და პრინციპები არ გააჩნია...



სად განვითარდება მოქმედებები, მართლ თბილისში თუ სხვა ქალაქში? - სიუჟეტი მხოლოდ მე-19 საუკუნის მოიცავს თუ უფრო მეტად ვითარდება? - არა, სერიალი მოიცავს 2 საუკუნეს - მე-19 და მე-20 საუკუნეებს...

ლაეს 7 სერიას, ხოლო მეორე სეზონში - 8 სერიას. - აპირებთ თუ არა სერიალის რუსულად და ინგლისურად თარგმნასა და მის საერთაშორისო მაზარზე გატანას? - კი, რა თქმა უნდა, ვაპირებთ გავიდეთ საერთაშორისო კინობაზარზე...



განათებით დაწყებული, მძღოლებით დამთავრებული, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ რაღაც გრანდიოზულსა და პოლიფუნქციურს პროექტს ვაკეთებთ...

ჭვარციმული კულტურული მემკვიდრეობა, საყდრისის ბორცვი - მოლოთა 2

წარმოიდგინეთ, ერთ დღეს გაიღვიძეთ და აღმოაჩინეთ, რომ სვეტიცხოვლის მავივრად, მცხეთის ცენტრში, შუშის მრავალსართულიანი ბიზნესცენტრი „ნამოჭიმული“ - უტოპია - მოურიდებლად შექმნილი ყველა.

2014 წლის 13 დეკემბერს კი ამ უტოპიის ხორცშესხმას საფუძველი ჩაეყარა. გამთენიისას, ქრისტეს შობამდე მეოთხე ათასწლეულით დათარიღებული ოქროს საბადო „ვანდალურად“ ააფეთქეს. ღიახ, არ მოგესმათ, ააფეთქეს. კომპანია „RMG“-ის ძეგლთა დაცვის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის მიერ 12 დეკემბერს მიღებული N03/266 და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის, N2/271 ბრძანებებმა მისცა საშუალება, საყდრისის ბორცვი 5 წუთში გაენადგურებინათ. მაშინ, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა კახა კოკორიძის და დალი მამულაშვილის სარჩელი და შეაჩერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედ-

ვითაც, კომპანია „RMG Gold“ - მა საყდრისი - ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება მიიღო. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით კომპანიას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საყდრისი - ყაჩაღიანში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით სამუშაოების წარმოება აეკრძალა.

სასამართლოს ბრძანებულება კი, როგორც ჩანს, კულტურის სამინისტრომ უგულებელყო. საინტერესო ისაა, რომ ძეგლზე სამუშაოების დაწყების ნებართვა კულტურის სამინისტროში შექმნილმა ხუთკაციანმა კომისიამ, ფაქტობრივად, უპრეცედენტო დროში, 24 საათში განიხილა, გადაწყვეტილება მიიღო და შემდეგ მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინა მაშინ, როდესაც მსგავსი საქმეების გადაწყვეტას, როგორც წესი, მაქსიმუმ ერთი თვე მაინც სჭირდება. საყდრისის მცველის, ირაკლი ლომიძის მიერ გავრცელებულმა კადრებმა, რომელიც 13 დეკემბერს აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე გადაიღო, ძეგლის კედლებზე ასაფეთქებელი მონყობილობისათვის განკუთვნილი ჭაბურღილებია ასახული, ეს კი ადასტურებს, რომ სანამ სამინისტრო გადაწყვეტილებას მიიღებდა, „RMG“-ს, კარგა ხნით ადრე, ძეგლი უკვე ასაფეთქებლად მომზადებული ჰქონდა. ამით მან დაარღვია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მას ძეგლზე სამუშაოების დაწყებას უკრძალავდა. როგორც ჩანს, „RMG“ - ის მსგავსი ნივთისწარმომწოდებელი ნივთიერებით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებები - მათ ხომ ჯერ არარსებული მინისტრის გადაწყვეტილება კვირებით ადრე იწინასწარმეტყველეს. ნათელია, რომ სამართლებრივად კომპანიამ კანონი დაარღვია და ძეგლზე სამუშაოები უკანონოდ დაიწყო.



ყოფილა, რომლის მიხედვითაც, კომპანია „RMG Gold“ - მა საყდრისი - ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება მიიღო. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით კომპანიას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საყდრისი - ყაჩაღიანში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით სამუშაოების წარმოება აეკრძალა.

სასამართლოს ბრძანებულება კი, როგორც ჩანს, კულტურის სამინისტრომ უგულებელყო. საინტერესო ისაა, რომ ძეგლზე სამუშაოების დაწყების ნებართვა კულტურის სამინისტროში შექმნილმა ხუთკაციანმა კომისიამ, ფაქტობრივად, უპრეცედენტო დროში, 24 საათში განიხილა, გადაწყვეტილება მიიღო და შემდეგ მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინა მაშინ, როდესაც მსგავსი საქმეების გადაწყვეტას, როგორც წესი, მაქსიმუმ ერთი თვე მაინც სჭირდება. საყდრისის მცველის, ირაკლი ლომიძის მიერ გავრცელებულმა კადრებმა, რომელიც 13 დეკემბერს აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე გადაიღო, ძეგლის კედლებზე ასაფეთქებელი მონყობილობისათვის განკუთვნილი ჭაბურღილებია ასახული, ეს კი ადასტურებს, რომ სანამ სამინისტრო გადაწყვეტილებას მიიღებდა, „RMG“-ს, კარგა ხნით ადრე, ძეგლი უკვე ასაფეთქებლად მომზადებული ჰქონდა. ამით მან დაარღვია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მას ძეგლზე სამუშაოების დაწყებას უკრძალავდა. როგორც ჩანს, „RMG“ - ის მსგავსი ნივთისწარმომწოდებელი ნივთიერებით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებები - მათ ხომ ჯერ არარსებული მინისტრის გადაწყვეტილება კვირებით ადრე იწინასწარმეტყველეს. ნათელია, რომ სამართლებრივად კომპანიამ კანონი დაარღვია და ძეგლზე სამუშაოები უკანონოდ დაიწყო.

ყველაზე მტკიცეული ამ ოდისეაში ისაა, რომ სახელმწიფო სტრუქტურა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელიც ვალდებულია დაცვას კულტურული მემკვიდრეობის ინტერესები, თავის ფუნქციას არ ასრულებს და სხვადასხვა ბიზნეს თუ სახელისუფლებო ინსტიტუციების მარიონეტად ხდება. ამან კი წლები განმავლობაში იქამდე მიგვიყვანა, რომ 15 ძეგლს კულტურული ძეგლის სტატუსი უკვე მოეხსნა.

მაშინ, როდესაც ქვეყნის ფუნდამენტი, სიამაყე, კულტურული მემკვიდრეობა, ბიზნეს და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთისას მეორეხარისხიანად მიიჩნევა ეს თვალსაზრისების კრიზისზე მიანიშნებს. ალბათ, მათ, ვინც უწყობანოდ აწერს ხელს ძეგლების აფეთქებას, დანგრევას, არასწორ რესტავრაციას არაფერი სმენია ეთნოსის ღირებულებით სისტემაზე, მის მრწამსზე. სწორედ ეს ღირებულებათა სისტემა ის,

„მადნეული“ მანამ, სანამ სალიცენზიო ტერიტორიის „RMG“-ი შეისყიდდა. საყდრისი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, მსოფლიოში უძველესი ოქროს საბადოა. ნახშირბადის რაოდენობით უსწრებელი და კერამიკის კვლევის თანხმად, ობიექტი თარიღდება ქრისტეს შობამდე მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევრით. საბადოში ოქროს დიდ რაოდენობას მოიპოვებდნენ, მინის ზედაპირიდან დაახლოებით 30 მეტრზე. ოქროს მოპოვება გრძელდებოდა საბჭოთა პერიოდშიც. იქ არის განუმეორებელი შესაძლებლობა, გვიანდელი მეოთხე ათასწლეულის პერიოდის საბადო დღესაც ვიხილოთ, შევისწავლოთ და საზოგადოებრიობას ვუჩვენოთ. მთელი საბადოს არეალში, მეათე ათასწლეულის პერიოდის ოქროს წარმოება დადგინდა. იქ იყო მთელი დასახლება, საბადო, ოქროს მიღების რამდენიმე საფეხური. ეს ძალიან უჩვეულოა და, ამდენად, ოქროს სამთო მოპოვების მსოფლიოში უძველესი დასტურია. „ის უფრო ძველია, ვიდრე ეგვიპტეში მიკვლეული საბადო, ე.წ. „ფარაონის ოქრო“, - აღნიშნავს თომას შტიოლენერი. ამ მოსაზრებას ქართული მეცნიერებიც ეთანხმებიან.

საყდრისის განაჩენი ჯერ კიდევ მაშინ იყო გამოტანილი, როდესაც პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელსაც ევალებოდა საქართველოს მოსახლეობის ინტერესების დაცვა, 2014 წლის აპრილში განაცხადა, რომ საყდრისი უძველესი ოქროს საბადო არაა. ამით მან საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, რომელიც საყდრისის გადარჩენას მოითხოვდა, „სახეში სილა გაანწა“. როდესაც მთავრობის მეთაური ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებს იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები ძეგლის ღირებულებაზე საუბრობენ, ალბათ, არცაა გასაკვირი, რომ სხვადასხვა ჩინოვნიკებიც, მეთაურისგან წახალისებულნი, მსგავს აბსურდულ განცხადებებს ღიად აფიქსირებენ.

საქართველოს პარლამენტის კულტურისა და განათლების კომიტეტის წევრი ნუკრი ქანთარია: „საბადო მუქვლელია, მთავრდებიან მოახდინოს ექსპერტზე ან თუნდაც ტურისტზე. ასე იყო ადრე და ახლაც მგონია, რომ ასეა.“ ნიკოლოზ ანთიძე: „საყდრისი თავისთავად დაინგრეოდა.“ - მსგავსი განცხადებები მხოლოდ ერთ რამეს მიუთითებს, იმას რომ მმართველი კასტა არასახელმწიფოებრივად აშროვებს. ეს საფრთხე დაინახა საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემაც. რომელმაც დაგმო აღნიშნული ვანდალური ფაქტი და ყველა იმ ადამიანის დასჯა მოითხოვა, ვისაც წვლილი მიუძღვის საყდრისის აფეთქებაში. „დღეს კი შედეგად გვაქვს სახელმწიფოებრივი აშროვნების წინააღმდეგ გაკეთებული ყოვლად გაუმართლებელი ქმედება. საქართველოს ეკლესია გამო-

თქვამს დიდ წუხილსა და გულსტკივილს მომხდარის გამო. საქართველოს ეკლესია გმობს ამ აქტს და იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს აფეთქება მოაწყვეს. ვთხოვთ ხელი-სუფლებას, რომ გამოძიებული იყოს ეს საქმე და ჩამდგინა სათანადო სასჯელი მიიღოს“. - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

როდესაც ბიზნესისა და კულტურული მემკვიდრეობის ინტერესები გადაიკვეთება, დასავლური ქვეყნები ამ შემთხვევაში ცდილობენ, იპოვონ ოქროს შუალედი, რათა ეს ორი ღირებულება არ დაამიანონ. ამის ნათელი მაგალითია, პოლონეთში არსებული მარილის უძველესი საბადო, რომელიც პირვანდელი სახითაა შენარჩუნებული და იგი ტურისტებში ერთ - ერთი პოპულარული სანახაობაა. სამაგიეროდ, ის ქვეყნები, რომლებიც განვითარების დონით და ღირებულებათა სისტემით არ გამოიჩენიან, უდიდეს ანადგურებენ თავიანთ მემკვიდრეობას. მე - 20 საუკუნეში თალიბებმა ავღანეთში, ბუდას უნიკალური ქანდაკებები განადგურეს, სირიაში ორი წლის წინ, ერთ-ერთი ისტორიული სასახლე ააფეთქეს, პერუში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს აცტეკების პირამიდა შეენირა და 2014 წელს ამ ქვეყნების სიას საქართველოც შეემატა, რომელსაც პრეტენზია აქვს, იყოს ევროპული ოჯახის წევრი - საბედნიეროდ, ევროპული ქვეყნები საკუთარ კულტურულ ძეგლებს არ აფეთქებენ - ეს ის ღირებულებათა სისტემაა, რომელსაც ევროპული ოჯახი პატივს სცემს.

სამწუხაროდ, კულტურული ძეგლებისადმი მსგავსი მიდგომები, საქართველოში, დღეს არ დაწყებულა. სააკაშვილის მმართველობისას, ძველი თბილისისა და აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციისას, მთლიანად წაიშალა კულტურული მემკვიდრეობის კვალი. ბაგრატიის ტაძარზე და სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებმა კი ამ ძეგლების ოუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიიდან ამოღების საფრთხე შექმნა. ეს მაგალითები ადასტურებს, იმას, რომ არცერთი ხელისუფლებისთვის ისტორიული მემკვიდრეობა პრიორიტეტული და ღირებული არაა. საინტერესოა, თუ ასე უდიდეს და უპასუხისმგებლოდ გაგანადგურებთ წინაპართა დანატოვარს, მაშინ რა იქნება ის, რითაც ჩვენ ვიამაყებთ, ის, რითაც დავამტკიცებთ, რომ ჩვენ განვითარებული სამყაროს სრულუფლებიანი წევრები ვართ?

ეკონომიკური და სოციალური არგუმენტებით, რომლითაც კომპანია „RMG“ და მთავრობა აპელირებს, სასაცილოა იმ ფონზე, როდესაც კანონით ინფრასტრუქტურა, კომუნისტების დროიდან მოყოლებული, არცერთხელ არ განახლებულა. დღემდე 10 ოჯახი და-

მართო ერთი ქვეყნისადმი, არამედ, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, რადგან საყდრისის საბადო საქართველოსა და მსოფლიოს კულტურული მონაპოვარი იყო. როდესაც ხელისუფლება უდიდეს ანადგურებს კულტურულ ძეგლს ისე, რომ მას საფუძვლიანადაც არ შეისწავლის და უგულვებელყოფს მოსახლეობის მოთხოვნებს, იგი საკუთარი კულტურის, ერის, ქვეყნის მტერია. საქართველომ საყდრისის აფეთქებით წერტილი დასვა ქვეყნის კულტურულ განვითარებას, რადგან იმ ქვეყანაში, სადაც ისეთ უნიკალურ სიმდიდრეებს არ უფრთხილდებიან, როგორც კანონით არსებული მაღარო იყო, იქ თანამედროვე კულტურა ვერასოდეს შეძლებს განვითარებას, რადგან თუ საძირკველი არ არსებობს შენობას ვერაფერს ააშენებს.

მოდით, ავიტყვათ ვარძი, სვეტიცხოველი, გელათი, ყველაფერი ღირებულია, რაც გავაჩნია, და ამით ერთხელ და სამუდამოდ დაისვენებს ჩვენი ხელისუფლება, რომელსაც „ფეხებზე ჰქვია“ კულტურული მემკვიდრეობა და ბიზნესი, რომლის უმთავრესი მიზანი ფულის კეთება ყველაგან და ყველა სიტუაციაში.

განა ღირსია ჩვენი ქვეყანა ევროპული ოჯახის წევრი გახდეს მას შემდეგ რაც თავისი კულტურა ასე გათვალა? ვანდალები აღარ არსებობენ, სამაგიეროდ, ვანდალების რეინკარნაციას ვხედავთ დღეს საქართველოში. სამწუხაროდ, ქართული კულტურული მემკვიდრეობა დღეს ჯვარცმულია. საუკუნეების წინ, როდესაც არაერთი დამპყრობელი საქართველოს განადგურებას ცდილობდა, მიუხედავად მათი სასტიკი მეთოდებისა, მათ მაინც ვერ შეძლეს კულტურული ღირებულებების ამოძრკვა. დღეს კი, როდესაც არც ჯალალ ედ ღინის და არც ალა მაშად ხანის შემოსევები არ ემუქრება საქართველოს, მათ ფუნქციას ესა თუ ის კომპანია და ჩინოვნიკი ასრულებს. რამდენიმე დღის წინ, საყდრისის ბორცვზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ჯვარზე გააკრეს. ესეც არ ყოფილ და ჯვარცმული მემკვიდრეობა ვანდალურად ააფეთქეს. იმეღია, საქართველო გამოფიზილდება, აღსდგება იმ მანკიერი ტრადიციის აღსაკვეთად, რასაც კულტურული მემკვიდრეობისთვის სახეში შეფურთხება ჰქვია. მაშინ საბოლოოდ წაიშლება დაშინიანი ღირებულების სახეზე იმ ჩინოვნიკებს, როლებიც საყდრისის „ჭირისუფალთ“ დასცინოდნენ მაშინ, როდესაც ისინი თავიანთი სიცოცხლის ფასად ძეგლის გადასარჩენად იბრძოდნენ. თუ ხელისუფ-



ბაში უკადრეს სილატაკში ცხოვრობს. მაშინ, როდესაც, გზაც კი არაა მოწესრიგებული თვით კომპანიის შენობამდე მისასვლელად.

საყდრისის ძეგლის არქეოლოგიური დატვირთვა იმდენად მასშტაბურია, რომ დღეს, როდესაც ძეგლის ერთი ნაწილი განადგურებულია, მეცნიერები მოითხოვენ, რომ მიეცეთ მანის ბორცვზე სამუშაოები გაავრცელონ, რადგან მოსალოდნელია საყდრისმა მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცოს. „თუ შეწყვეტს კომპანია სამუშაოებს და მოგვემს არქეოლოგიებს საშუალებას, გეოლოგებთან ერთად შევთავაზოთ ეს ძეგლი და მისი დაზიანების ხარისხი, ჩვენ გარკვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღება შევძლებთ.“ - განაცხადა ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, არქეოლოგმა გოდერძი ნარიმანიშვილმა.

საყდრისის აფეთქება საქართველოს თანამედროვე ისტორიის შავი წერტილია. ეს არა-

ლებას ცოტაოდენი ღირსება მაინც შერჩენია, ყველა ის პირი, რომელსაც წვლილი მიუძღვის საყდრისის აფეთქებაში, უნდა დასაჯოს, მაგრამ საევტოა, რამდენად შეძლებს ამის გაკეთებას ხელისუფლება, რომლის მეთაურმაც და მინისტრებმაც ხელის აუპაკლების გარეშე მოაწინააღმდეგა ქართული კულტურის ჯვარცმას. ისტორიას არ ახსოვს დამნაშავეებს საკუთარი თავისთვის გამოეტანო ბრალდების განაჩენი. ალბათ, ახლაც არ შეივსლება ისტორია და საყდრისის აფეთქებისთვის არა თუ დაისჯებიან მავანნი, არამედ კვლავ უსირცხვილოდ განაგრძობენ ცხოვრებას კულტურული მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილ საქართველოში.

მაღრი კომპიუტერი  
ფოტო: www.google.ge

ია ანთაძის კახური - გურული ბენედიკა

ია ანთაძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია და რა- დიო „თავისუფლების“ ჟურნალისტად მუშაობს. ასევე არის გამგე- ობის თავმჯდომარე ანასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“. მას ქართული საზოგადოება იცნობს, როგორც თავისი საქმის პროფესიონალს და ძლიერ ჟურნალისტს. იქიდან გამომდინარე, რომ მის შესახებ მკითხველი ინფორმაცია მო- იპოვება ინტერნეტში, როგორც პიროვნებაზე, გადაწყვეტიტე ინტერ- ვიუ ჩამოყრება. ია ანთაძე მალევე დამთანხმდა. ჩვენს მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, უფრო უკეთ გაიცნოს იგი, გაიგოს მის შე- სახე ის, რაც აქამდე არ იცოდნენ.

- როგორი ბავშვი იყავით? - პრობლემური ბავშვი არ ვყოფილვარ, ვკითხულობდი ძალიან ბევრს. არ ვიყავი ძალიან მოძრავი და არ ვითხოვდი ეზოში დიდხანს თამაშს. სკოლაში ვსწავლობდი კარგად და არც ამით არ ვუქმნიდი ჩემს ოჯახს პრობლემებს. დავდიოდი მუსიკაზე, რომელიც არ მომწონდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ დავდიოდი, რომ ოჯახს მიაჩნდა ეს აუცილებლობად. ერთი რამ იყო კარგი, მშობლები არ მიშლიდნენ ისე მეცხოვრა, როგორც მე ვთვლიდი საჭიროდ და მეც ჩემი მხრიდან ვცდილობდი, რომ მათთვის პრობლემები არ შემექმნა.

- რამე ოცნებობდით ბავშვობაში? - იყო ისეთი მომენტი, რომ დიდხანს ვოცნებობდი როლიკებზე, რომელიც ძნელად მოიპოვებოდა და თან ძალიან ძვირი ღირდა, ზოგადად, ეს იყო ის დრო,

მაქსიმალური გაეკეთებინათ ჩემთვის.

- რა თამაშობს ყველაზე დიდ როლს თქვენს ცხოვრებაში? - ძალიან ძნელია ერთი კონკრეტული პასუხის გაცემა. მე მყავს მამის მხრიდან არაჩვეულებრივი სანათესავო და ის ადამიანები, რომლებიც ჩემ ირგვლივ იყვნენ მთელი იმ წლები განმავლობაში, როცა ვიზრდებოდი. ისინი ჩემს ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ. აღარაფერს ვამბობ ჩემს ოჯახზე, რადგან ყველა ადამიანის ცხოვრებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს ოჯახი, რომელშიც იზრდება. არაჩვეულებრივი მეგობრები მყავდა სკოლაში და მათაც დიდი როლი ჰქონდათ ჩემს ცხოვრებაში. შემდეგ იყო ერთი მთავარი რამ, მიღრეკილება კითხვისაკენ, ნივინი ჩემთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ფაქტობრივად, ისე გამოდიოდა,

ბევრს ვეღარ ვკითხულობდი, მაგრამ ახლა ისევ დავუბრუნდი მხატვრული ლიტერატურის კითხვას.

- რას ნანობთ ყველაზე მეტად? - ალბათ, ყველა ადამიანი რაღაცას ნანობს, მაგრამ მე არ მახსენდება რამე ისეთი სანანებელი, რომ ჩარჩენილი მქონდეს მეხსიერებაში და ამას ვუბრუნდებოდე. საბედნიეროდ, ასეთი სანანებელი არაფერი მაქვს.

- თუმა, რომელზეც არასოდეს საუბრობთ. რატომ? - საერთოდ არ მიყვარს უცხო ადამიანებთან პირად ცხოვრებაზე საუბარი და, როგორც წესი, არ ვსაუბრობ ხოლმე, რადგან ვფიქრობ, პირადი ცხოვრება იმიტომ ჰქვია, რომ ეს პირადი სივრცეა და არ უნდა იყოს ყველასთვის ადვილად შეღწევადი, მე ასე ვთვლი.

- თუ არსებობს ისეთი რამ, რისთვისაც ყველაფერს დათმობთ? - ყველაფერს დათმობდა არ შეიძლება, მაგალითად, ჩემთვის ძალიან ძვირფასია თავისუფლება, ბევრჯერ ჩემი ცხოვრების განმავლობაში მიფიქრია, რომ რაღაცის გამო შემეზღუდა, მეტნაკლებად, ჩემი თავისუფლება, მაგრამ არ გამომსვლია. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემს თავთან არ უნდა ვიდავო ამის გამო, რადგან ვიცი, რომ უნდა ვიყო თავისუფალი და ყველაფერი რაც მიზღუდავს მას, ძალიან მალე მთავრდება, რადგან ყოველთვის თავისუფლების სასარგებლოდ ვაკეთებ არჩევანს. ჩემი ცხოვრების ერთ - ერთი მთავარი პრინციპი არის ის, რომ მე უნდა ვიყო თავისუფალ გარემოში და ვთმობ, მაგალითად, კარგ ხელფასს, კარგ ფინანსურ მდგომარეობას და ასეთ რამეებს, იმიტომ, რომ მე არ ვემორჩილებოდე ვიდავის სურვილებს.

- არაფერი ფასობს ისე როგორც? - ყველაზე მეტად ფასობს ადამიანების ურთიერთობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანების ურთიერთობაზე მეტი, მგონი, არაფერი არ არის, რადგან ყველა ჩვენგანს უხდება ყოფნა გარემოში, სადაც არიან სხვებიც, თუ ადამიანი ძალიან ეკოისტია და თავის თავზე ბევრად მეტს ფიქრობს, ვიდრე გარშემომყოფებზე, იგი ვერ იცხოვრებს მშვიდად და სამწუხაროდ, სულ წერვიულობასა და კონფლიქტებში იქნება. მე მგონია, ის ადამიანები, რომლებმაც იცინა, რომ თავისი ინტერესები უნდა დათმონ სხვების სასარგებლოდ, რა თქმა უნდა, არა ყოველთვის, ბევრად მშვიდად ცხოვრობენ.

- საყვარელი წიგნი? - ძალიან რთული კითხვაა, რადგან არის არაერთი მწერალი, რომელიც ჩემთვის ძალიან საყვარელია. თუ ვილაპარაკებთ ერთ წიგნზე, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, კიდევ შესაძლებელია, თუმცა სხვადასხვა ასაკში ასეთი წიგნი სხვადასხვა იყო, მაგრამ ერთი ასეთი წიგნი არის „ვეფხისტყაოსანი“. მე დიდხანს ვმუშაობდი ამ წიგნზე და ჩემთვის ნამდვილად ძვირფასია იგი, რადგან ეს არის ცოცხალი წიგნი და სულ ვიცი ხოლმე თანამედროვე სიტუაციიდან, მაგალითად რა მივსადაგება „ვეფხისტყაოსანს.“ მაქვს სტატიები დაწერილი პოლიტიკურ თემაზე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ქარგასთან იყო დაკავშირებული. ასევე, ძალიან ხშირად ვესაუბრები სტუდენტებს ამ წიგნზე, როგორც კი საამისო დროს ვიხელთებ ხოლმე. მგონია, რომ ეს არის წიგნი, რომელიც ყველა ქართველს უნდა უყვარდეს და ეამაყებოდეს. სამწუხაროდ, ხშირად ვხვდები, რომ ახალგაზრდებს არ უყვართ „ვეფხისტყაოსანი“ და ვცდილობ ხოლმე, რაღაც ისეთი დავანახო მათ ამ წიგნში, რაც ძალიან ძვირფასს გახდის მათთვის.

- რამ შეიძლება გამოგიყვანოს მწყობრიდან? - ვარ გურული და წესით ფიცხი უნდა ვიყო, მაგრამ დედა მყავს კახელი და ამიტომ ასეთი შერეული აღზრდა მაქვს. კახურ - გურული გენეტიკა აბალანსებს ერთმანეთს ჩემს ხასიათში და ამიტომ იშვიათად გამოვდივარ მწყობრიდან. თუმცა, ბოლო ხანებში ხდება ხოლმე, რომ შეიძლება ადვილად დავკარგო წონასწორობა, როდესაც, მაგალითად, ვხედავ უმადურობას ადამიანში, არა ჩემ მიმართ, არამედ სხვასთან მიმართებაში.

არის კიდევ რაღაცები, რის გამოც შეიძლება ვინერვიულო და გავცხარდე, მაგრამ ვცდილობ, რომ ამ მხრივ ჩემი თავი ვაკონტროლო.

- რომ არა „Facebook“-ი? - რომ არა „Facebook“-ი ძალიან მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება. მე მეხმარება საქმეში, ძირითადად ვიყენებ, როგორც იმ საშუალებას, რომელიც მაძლევს მუშაობისთვის ძალიან დიდ რესურსს. მე მაქვს გადაცემა რადიო „თავისუფლებაში“, რომელიც მთლიანად იმაზე არის აწყობილი, რომ „FACEBOOK“- ელ მეგობრებს ვთავაზობ თანამონაწილეობას, ჩემს რადიო გადაცემაში. ვარდა ამისა, ეს ის ადგილია, რომელიც სხვების პრობლემების მოგვარებაში მეხმარება. ჩემთვის ძალიან საჭირო სივრცეა და ნამდვილად ბევრი რამის გაკეთება გაძნელებულია, რომ არა „Facebook“-ი.

- რას აფასებთ ადამიანში ყველაზე მეტად? -ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ბუნებრიობას და როდესაც ვხედავ, რომ ადამიანი არის ხელოვნური, მის მიმართ ინტერესი მიქრება.

-როდესაც ფილოლოგიურზე ამა- რებდით, წარმოიდგენდით რომ ჟურნალისტიკის განხრით გააკრძე- ლებდით მოღვაწეობას?

- არასოდეს, აბსოლუტურად არცერთი უნარი არ მაქვს, რაც ჟურნალისტს სჭირდება. მე ვიყავი მასწავლებელი, შემდეგ მოვხვდი ჟურნალისტიკაში და ძალიან დიდხანს მრცხვენოდა მეტყვა, რომ მე ვარ ჟურნალისტი, სულ ვამბობდი ხოლმე, რომ მე არ ვარ ჟურნალისტი, მე მასწავლებელი ვარ. მერე მივფიქრე, ახლა ეს განცდა, რომ შემრცხვენს ამ სიტყვის თქმის, აღარ მაქვს. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ კარგად გავიგე ამ პროფესიის სირთულეები და ფასი. მაგრამ არასოდეს არ მიფიქრია, რომ ჟურნალისტი გავხდებოდი, სრულიად შემთხვევით მოვხვდი ამ პროფესიაში.

-ხომ არ გაქვთ რაიმე განსა- კუთრებული ტრადიცია ახალ წელ- თან დეკაუმირებით?

- ტრადიცია გვაქვს ის, რომ ოჯახში ვხვდებით ახალ წელს, მაგრამ წელს დედაჩემი გარდაიცვალა, მამა დიდი ხნის წინ დაკარგე, ამიტომ ძალიან ემოციურად ვუდგები ახალ წელს და ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორი იქნება ახალი წელი დედას გარეშე. მაგრამ იმისი მოხსრე ვარ, რომ ადამიანმა რაციონალურად შეხედოს იმას, რაც მის გარშემო ხდება და ზედმეტად დესტრუქციულად არ მიიღოს, ვთქვათ, ასეთი ამბავი, რომ ახალი წელია და ამიტომ განსაკუთრებულად უნდა ვინერვიულო, რომ დედა ვეღარ ხვდება ჩვენთან ერთად. ადამიანი ყველაფერს უძლებს.

- რას ურჩევთ მომავალ ჟურნალისტებს?

- პირველ რიგში, გირჩევთ იმას, რომ იკითხოთ რაც შეიძლება ბევრი მხატვრული ლიტერატურა, იმიტომ, რომ ჟურნალისტი, განსხვავებით სხვა პროფესიის ადამიანებისგან, არის საზოგადოების ხელისუფლებაზე, ჩვენ გვი- ხდება ყოველდღიურად ურთიერთობა საზოგადოებასთან, ჩვენ გვცემენ, ჩვენს ნაწერებს კითხულობს ბევრად ჩვენზე ჭკვიანი ხალხი, ის ადამიანები, რომლებმაც ბევრად უფრო უკეთ იციან ის საკითხი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ და ამიტომ ეს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე მუდმივად უნდა გვექონდეს. ჩემი საერთო განათლების დონე ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ადამიანს ღირებულებები სწორად აქვს აღქმული, დამეთანხმებით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჟურნალისტმა ის არ თქვას, რისიც შემდეგ შერცხვენა. მაღალი დონის საერთო განათლება ადამიანს კარნახობს, როგორ უნდა მოიქცეს, რა ფრაზებით უნდა ისაუბროს, რომ დამაჯერებელი და სანდო იყოს საზოგადოებისთვის, ამიტომ ხელობის სწავლასთან ერთად, ზოგადი განათლება აუცილებელია.



როდესაც ბევრი რამ ძნელად მოსაპოვებელი იყო. როდესაც ჩემმა ოჯახმა შეძლო, რომ ჩემთვის როლიკები ეყიდა, უკვე ეს ნივთი აღარ იყო საინტერესო და არც ერთხელ არ დავმდგარვარ, რაღაცნაირი განხიბვლა მოხდა. ეს იყო სამწუხარო აცდენა. სხვა ისეთი არაფერი მახსენდება, რადგან ჩემი ოჯახის წევრები ძალიან ყურადღებით იყვნენ ჩემ მიმართ და ცდილობდნენ ყოველთვის

რომ, როცა სკოლაში დავდიოდი, სწავლის პერიოდში, იმის მაგივრად, რომ გაკვეთილები მემეცადინა, ხშირად მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობდი, არდადეგებზე ხომ კითხვის მეტს არაფერს ვაკეთებდი. ალბათ, ამანაც გარკვეული როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. შემდეგ უკვე წლები რომ გავიდა და ცხოვრება აჩქარდა, შესაბამისად, საქმეც მომემატა,

ინა ისეთივე უბრალო და სადაა, როგორც მისი სახელი. არ უყვარს, როცა მეტისმეტად აქებენ, არც ის - მწერალს რომ უწოდებენ. ბავშვობაში იშვიათად წერდა. მაშინ აზრადაც არ გაუვლია ფილოლოგობა. სკოლის წლებთან განსაკუთრებული მოვლენები არ აკავშირებს, არც მაშინდელი მეგობარი შემორჩა ბევრი. სამაგიეროდ კარგად ახსოვს ქართულის მასწავლებელი, რომელმაც პირველმა უთხრა - ფილოლოგიურზე ჩააბარეო. თავიდან ისტორიის ფაკულტეტზე ჩაბარება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მისი ლექტორისა და უფროსი მეგობრის, მწერალ თეიმურაზ მაღლაფერიძის რჩევით ფილოლოგიურზე ჩააბარა და ეს გადაწყვეტილება არასოდეს უნანია.

შემდეგ იყო სტუდენტობა და გაზეთი „კავკასიონი“. ლიმილით იხსენებს პირველ ჰონორარს, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტმა აიღო. „თავიდან ეს იმდენად სამსახური არ იყო, რამდენადაც გამოცდილების შექმნის უნიკალური შესაძლებლობა. „კავკასიონში“ ძალიან ბევრი რამ ვისწავლე - ეს იყო ჩემი პროფესიული და ცხოვრებისეული სამჭედლოც. სოფლიდან ჩამოსულ პატარა გოგოს კი მეტი რა მინდოდა?!“ ინას აქ ისეთ ცნობილ ლიტერატორებთან, მწერლებთან, მთარგმნელებთან, კრიტიკოსებთან უწევდა მუშაობა, როგორც იყვნენ ვახტანგ როდონია, რევაზ სირაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ზაზა თვარაძე, დავით წერეთლიანი, ლია სტურუა, ლევან ბრეგვაძე, თამაზ ვასაძე, და ბევრი სხვა. შემდეგ იყო „არილი“. გაზეთი „კავკასიონის“ რამდენიმეფურცლიანი ლიტერატურული ჩანართი, რომელიც მალე გამოეყო გაზეთს და ჯერ დამოუკიდებელ გაზეთად, შემდეგ კი შურნალად იქცა. საკმარისია ინასთან ეს „ჯაღოსური“ სახელი ახსენო, რომ მზადაა, მთელი შემართებითა და სიხარულით მოგიყვას „არილის“ ღირებულებებზე, მის მნიშვნელობასა და როლზე ახალგაზრდა შემოქმედთა ცხოვრებაში და ასევე, გემოვნებიანი ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. გარდა შინაარსობრივი ღირებულებისა, ინასთვის „არილი“ იმ ადამიანებთანაც ასოცირდება, რომლებიც წლების განმავლობაში ქმნიდნენ ამ შურნალს და ხელს უწყობდნენ მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას - დანაშაულებრივად ჯგუფით და შურნალის ავტორებით, დამთავრებული - ერთგული მკითხველით; ამბობს, რომ მაშინ, 90-იან წლებში, ეს იყო ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) ღია სივრცე ლიტერატორებისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის და ბედნიერია, რომ თავდაც მთელი ამ პროცესის

თვითმხილველი და თანამონაწილე გახდა. გამოდის, რომ „არილის“ დაარსების დღიდან თქვენც სულ ხართ-მეთქი მისი წევრი, - სულ ვარ და იმეღია, სულ ვიქნებიო, მიპასუხა მისთვის უჩვეულო სიამაყითა და ლიმილით. „არილისადმი“ ინას დამოკიდებულებას ყველაზე უკეთ გამოხატავს ერთი ლექსი, რომელიც მას დიდ ხნის წინ დაუწერია და ამას წინათ ფეისბუქზე გამოუქვეყნებია, რასაც მისი „კავკასიონელი“ და „არილელი“ მეგობრების დიდი გამოხმაურება მოჰყოლია. ლექსი ნოსტალგიურია და დაუსრულებელი, მაგრამ ამის მიუხედავად, ავტორი, როგორც საერთოდ სჩვევია, იმედს მაინც არ კარგავს. „არილისა“ და „კავკასიონის“ გარდა იყო კიდევ რამდენიმე გაზეთი, ასევე შურნალი „ცხელი შოკოლადი“ და სკოლა პეტრიაშვილზე, მაშინდელი „მე-ნ გერმანული გიმნაზია“, სადაც როგორც თავად ამბობს, „საკუთესო წლები გაატარა“. „სკოლაში ბევრი რამ ვისწავლე და უკეთეს ადამიანად ვიქცეი ბავშვებთან ურთიერთობით, ეს იყო ჩემი თავის გამოცდა“. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებთან მუშაობა ძალიან მოსწონდა, ინა სკოლიდან მალე - 3 წელიწადში წამოვიდა, თუმცა კრეატიულმა და თავისი საქმის მოყვარულმა მასწავლებელმა ამ მცირე დროშიც მოახერხა ბავშვებისთვის ფიქრი, აზროვნება ესწავლებინა, წერა-კითხვა შეეყვარებინა და საკუთარ მშობლებისთვის შეიღებო მათთვის უცნობი ახალი კუთხით გვეცნო. ინა ამბობს, რომ ჯანმრთელობისა და ცხოვრებისეული პრობლემები რომ არა, ახლა ალბათ სულ სხვა ადამიანი იქნებოდა - შეიძლება უკეთესი, შეიძლება უარესი, მაგრამ არა ის, ვინც ახლაა. „მას შემდეგ, რაც საკმაოდ ახალგაზრდას სერიოზული დაავადება აღმომაჩნდა, რამდენიმე წელი ფიქრის გარდა, ფაქტობრივად, არაფერი




მიკეთებია; თითქმის მოგწყდი სამყაროს, ახლობლებს, ჩავიკეტე და ვცდილობდი, საკუთარი თავი ახლიდან გამეცნო, პასუხი მეპოვა იმ უამრავ კითხვაზე, რომელიც გაჩნდა; მეპოვა გამოსავალი, დასაყრდენი, ხელჩასაჭიდი; სარკის წინ მდგარს, ყოველდღე ჩამომეთავლა საკუთარი თავისთვის ის ამქვეყნიური სიკეთეები, რისთვისაც ნამდვილად ღირდა ცხოვრების გაგრძელება. და მე ეს შევძელი“. ამის შემდეგ კი წერა დაიწყო, თანაც დაახლოებით ორმოცი წლის ასაკში.

„როცა ავიკრავ გუდანაბადს ამ ქალაქიდან, როცა ვიტყვი, რომ აღარა მაქვს „არილის“ ვალი. როცა გავიჭერ შავ პალტოზე სიმწარით ქამარს, აღარ მექნება არც შავი თმა და აღარც ყულალი... გზად მიმავალი არ მოგყვები პირჯვარის წერას, რადგან არასდროს არ ვყოფილვარ ღმერთთან მართალი, მტკივანი ხელით მიძიმედ ავწვევ ცისფერ ზურგჩანთას და უცებ ვიგრძნობ, რომ სველი მაქვს ორივე თვალი, თუ თხუთმეტ წუთში მზე ამოვა, მე დავბრუნდები... ან კიბეებზე თუ ამასწრებს აი, ეს ქალი, ჩავიფიქრებ და ასრულებას ბავშვურ ოცნების, დაველოდები შიშნარევი გულისფანქვლით...“

პალიტრის“ რჩეულ მოთხრობათა კრებულში შევიდა 2010 წელს. ასევე, უყვარს „ლალა“ და „ნათელი ბოტები“, რომლებიც პირველად „ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურულ დამატებაში დაიბეჭდა. მეორე კრებულს „მას ერქვა ვატანაზე“ დაარქვა. წიგნის პრეზენტაცია სულ ახლახან - 2014 წლის 19 დეკემბერს გამოცემილია „ინტელექტში“ გაიმართა, სადაც სავარძელოში მჯდომი ცოტა დაბნეული და აღელვებული ინა ძალიან გულწრფელად და ჩვეული თავმდაბლობით, ხშირად იმეორებდა - რა დიდი მწერალივით ვიფერებ მდგომარეობასო. მეგობარი მწერლებისა თუ მეგობრების კომპლიმენტებზე კი, რომლებიც მის შემოქმედებაზე საუბრობდნენ (ირაკლი კაკაბაძე, მაკა ლდოკონენი, თეონა დოლონჯაშვილი და სხვ.), თავს უხერხულად აქნევდა და იღიმოდა. პირველ წიგნზე ამხელა ემოციები და პასუხისმგებლობა არ მქონია, რადგან მაინც დებიუტი იყო. მეორე უკვე თამამი განაცხადივითაა, შემომხედეთ, წიგნი დაწერეო, და, ცხადია, შესაბამისად, უფრო მეტად ვწერეო. მაგრამ, რადგან მეორე წიგნის განწყობა და თემატიკა მეტ-ნაკლებად ესადაგება ძველს, მე მას მაინც პირველის გაგრძელებას ვეძახი და ამით თითქმის ცოტა თავს ვიმშვიდებ. მოთხრობა „მას ერქვა ვატანაზე“, რომლის სათაურიც ინამ წიგნს მოარგო, ჰარუკი მურაკამის „ნორვეგიული ტყის“ გავლენითაა შექმნილი. მას უყვარს ეს მოთხრობა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი დაარქვა წიგნს, სულაც არ ფიქრობს, რომ ის ახალ კრებულში ყველაზე კარგი და რაიმეთი გამორჩეული ნაწარმოებია; ინას წიგნის ყდაზე ხასხასა „მწვანე ნათება“ - როგორც თვითონ ეძახის და თავმალბი, შემთხვევით არ მოხვედრილა. მათ სიმბოლური დატვირთვა აქვთ: მწვანე იმიტომ, რომ ის იმედის, ნათელი მომავლის, სიხალის სიმბოლო და იმის ნიშანია, რომ „ცხოვრება, რაც უნდა რთული იყოს, ჩემი იქნება თუ სხვისი, აუცილებლად გრძელდება“; - ამბობს ინა. თავმალბი კი, მასთანაც ასოცირდება და იმ ფემინურ ხაზთანაც, რომელიც გასდევს ინას მოთხრობებს. „ჩემს ნაწერებში სად მთავრდება ფიქრი და სად იწყება ამბავი, ხშირად თავდაც ვერ გამიჩვენებია. ჯერჯერობით, ის, რასაც მე ვაკეთებ, მგონია, რომ არის ფურცელზე გულწრფელად გადმოტანილი ფიქრისა და ემოციის ნაზავი, რომელიც მეტ-ნაკლებად მოსწონს მკითხველს. ნამდვილ მწერლობაზე კი ჯერ ძალიან შორია“.

ხშირად იმეორებს, რომ წარსული ყოველთვის უნდა გახსოვდეს, მაგრამ წინ უნდა იარო. არ უნდა დანებდე არანაირ პრობლემას და, შიგადაშიგ, როცა დაიღლები, თავსაც შემოუძახო, როგორც ამას თვითონ აკეთებს ხოლმე ფეისბუქზე, მაგალითად ასეთი სტატუსით: „უკან ნუ იხედები, ნუ იხედები უკან, უკან ნუ იხედები!“ ინა სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობს, ამ პრინციპით აკეთებს ბევრ რამეს... ამის შედეგია მისი უკვე ორი პროზაული კრებული - „ინო“ და „მას ერქვა ვატანაზე“. პირველი კრებული - „ინო“ - ცხრა მოთხრობას აერთიანებს და თითქმის ყველაში იგრძნობა მკვეთრი დიალექტი. ინას მოთხრობებში ოსტატურად, მაღალმხატვრულადაა გადმოცემული პერსონაჟების ცხოვრება, მათი განცდები, ვნებები, ადამიანური სევდა. ინა ხშირად პირველ პირში წერს, ავტობიოგრაფიული დეტალებიც ბევრია მის ამბებში, მაგრამ როგორც თავად აღნიშნავს: მის პერსონაჟებში „არა მხოლოდ ერთი და კონკრეტულად მისი ბებია-პაპის, დის ან ძმის, დედის, მამის, მეზობლისა თუ მეგობრის ხასიათია თავმოყრილი, არამედ ბევრი დამის, მშობლისა თუ პაპა-ბებიისა ერთად, რომელთაც ყველა ოჯახში ვხვდებით; თუმცა, რა თქმა უნდა ეს ზოგადი კონკრეტულს ემყარება.“ ისე კი, უკვირს საკუთარი თავისგან ის სითამამე, რომ პირველ პირში წერას არ ერიდება. ინას თავის უმთავრეს მოთხრობად „ბილიკი“ მიაჩნია - პირველი კრებულიდან „ინო“, რომელიც შურნალ „ლიტერატურული



ინო მეზარაშვილი  
ფოტო: ინო მეზარაშვილი

# რელიგია სახელად „ლივერპული“

ინგლისის ქალაქი ლივერპული მსოფლიოსთვის ორი რაღაცით არის ცნობილი. პირველი არის „ბითლზები“, ჯგუფი, რომელმაც გადატრიალება მოახდინა მსოფლიო მუსიკაში, ხოლო მეორე საფეხბურთო კლუბი „ლივერპული“, რომელსაც ყველაზე მეტი ევროპული ტიტული აქვს მოგებული ინგლისში არსებულ კლუბთა შორის, რამაც გამოიწვია მისი მსოფლიო პოპულარობა.

საფეხბურთო კლუბი „ლივერპული“ დაარსდა 1892 წელს. კლუბის შექმნა უკავშირდება ლივერპულში არსებულ წმინდა დომინგოს ტაძარს. კლუბი თავდაპირველად სამოყვარულო იყო და ეფუძნებოდა იდეას, რომ რელიგიურად მცხოვრები სპორტსმენები გუნდურ შეჯიბრებებში უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდნენ.

კლუბს სჭირდებოდა სტადიონი, სადაც საშინაო თამაშებს ჩაატარებდა და ქალაქში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეს სტადიონი უნდა ყოფილიყო „ენფილდი“, რომელიც ამ გადაწყვეტილებამდე ლივერპულში არსებულ მეორე გუნდს, ევერტონს ეკუთვნოდა. კლუბის ფორმის ფერად იქნა არჩეული წითელი ფერი, რომელიც ამავდროულად ქალაქის ფერი იყო. ემბლემადა კი არჩიეს liverbird - იგივე ფენიქსი, რომელიც ამავდროულად ასევე ქალაქის ემბლემა იყო. გუნდის ემბლემადა ფენიქსი იმიტომ აირჩა, რომ ფენიქსი არის არსება, რომელიც კვდება და თავისი ფერფლიდან ისევ ცოცხლდება, ასეთი რამ ლივერპულმაც ძალიან ბევრჯერ გააკეთა.

3-ჯერ ჩემპიონთა ლიგის მოგება. მან ეს ლივერპულთან ერთად 1977, 1978 და 1981 წლებში შეძლო.

„ლივერპულის“ ისტორიაში იყო დასამახსოვრებელი გამარჯვებები, მაგრამ ასევე იყო ორი უდიდესი ტრაგედია, ეიზელი და ჰილსბორო.

ეიზელის ტრაგედია მოხდა ბრიუსელში 1985 წლის 29 მაისს, როდესაც „ლივერპული“ „იუვენტუსს“ ვთამაშებოდა ჩემპიონთა თასის ფინალში. საქმა ისაა, რომ იტალიელი ტიფოზები და ინგლისელი გულშემოყვარებლები ერთ სექტორში მოხვდნენ, რამაც გამოიწვია გულშემოყვარებელთა შორის ჩხუბი. ჩხუბის დროს იტალიელებმა უკან სირბილით დაიხიეს, რასაც სტადიონმა ვერ გაუძლო და ჩაინგრა. ტრაგედიას 39 გულშემოყვარებელი შეეწირა.

ამ ამბის შემდეგ ინგლისურ კლუბებს აკრძალა ევროპულ ტურნირებში მონაწილეობა 5 წლის ვადით, რამაც საგრძნობლად შეაფერხა ინგლისური ფეხბურთის განვითარება.

მეორე ტრაგედია კი მოხდა 1989 წლის



ქის სახელობის სტადიონზე, „ლივერპული“ მილანს ვთამაშებოდა. მატჩი ისე წარიმართა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ ძალიან ბევრმა ადამიანმა ტელევიზორი სხვა არხზე გადაართო. საქმე ისაა, რომ პირველი ტაიმი „ლივერპულმა“ ანგარიშით 0 - 3 წააგო და ყველას წამოუდგინა მიაჩნდა, რომ მეორე ტაიმში ისინი შეძლებდნენ მილანის კარში 3 გოლის გატანას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „მილანის“ დაცვაში იმ დროის და მსოფლიო ფეხბურთის უდიდესი მცველები მალდინი, სტაფი და ნესტა იდგნენ.

მეორე ტაიმში კი „ლივერპულმა“ სასწაული მოახდინა. ამ სასწაულის წამომწყები კი „ლივერპულის“ ფანები იყვნენ, რომელთა შესვენებაზე თავიანთ საყვარელ გუნდს უდეროდნენ ჰიმნს, რომ ისინი არასოდეს იქნებიან მარტო. „ლივერპულმა“ 8 - წუთიან მონაკვეთში შეძლო და 3 უპასუხო გოლი გაუტანა მილანს. თამაში პენალტების სერიაში დამთავრდა, სადაც გამარჯვებული „ლივერპული“ აღმოჩნდა.

„ლივერპული“ ისტორიის და ტიტულების გარდა, გამორჩეულია გულშემოყვარებელთა. „ლივერპულის“ გულშემოყვარებლებს უწოდებენ „სკაუზერებს“. სახელწოდება უკავშირდება კერძს, რომელსაც მერსისაიდის მხარეში აკეთებდნენ და ერქვა სკაუზი.

„ლივერპულის“ ფანები გამოირჩევიან თავიანთი გულშემოყვარებით. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, გუნდი აგებს თუ იგებს: ისინი მუდმივად ამხნევენ და მღერავენ თავიანთ სიმღერებს. ლივერპულის საშინაო თამაშებზე კი, სადაც 45 000 „სკაუზერი“ იყრის თავს, არის განსაკვირვებელი ატმოსფერო.

„ლივერპულის“ ფანებსა და ენფილდზე არსებულ ატმოსფეროზე რამდენიმე ცნობილი საფეხბურთო ფიგურის კომენტარი არსებობს. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ტიერი ანრი ამბობს: „ლივერპულის“ ფანები გასაოცრები არიან. გასვლით მატჩებში თავს ყველაზე კარგად ენფილდზე ვგრძნობდი.



ურუნტელი დავიდის, როდესაც მათ ნამღერ you'll never walk alone-ს მოუსმენ“.

„ლივერპულს“ და მის ფანებს აფასებს მადრიდის „რეალის“ ამჟამინდელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „ლივერპულს“ 1984 წლიდან ვაკვირდები. მაშინ ერთმანეთს „ლივერპული“ და „რომა“ შეხვდნენ, მე კი „რომაში“ ვთამაშობდი. მაშინ ჩვენ პენალტების სერიაში დავმარცხდი. არავინ ისე არ მღერის საკუთარი გუნდის ჰიმნს,

როგორც „ლივერპულის“ ფანები. კარგად მახსოვს 2005 წლის ფინალი ( ანჩელოტი მილანის მწვრთნელი იყო), ანგარიშით ჩვენ 3-0 ვიგებდით ხოლო „ლივერპულის“ 45 000 ფანი 10 წუთის განმავლობაში უმღეროდა თავის საყვარელ გუნდს. ეს ჩემთვის შოკი იყო, რადგან იტალიაში ასეთ დროს სხვადასხვა საგანს დაგიმენენ. ეს მომენტი სამუდამოდ დარჩება ჩემს ცხოვრებაში“.

არსენ ვენგერმა „არსენალის“ მწვრთნელმა ისაუბრა სკაუზერებზე „ლივერპულის“ ფანებს ძალიან დიდ პატივს ვცემ, რადგან ისინი გასაჭირშიც კი ბოლომდე უჭერენ მხარს“.

„ლივერპულს“ ყოველთვის ჰყავდა გამოჩენილი და ერთგული ფეხბურთელები, რომლებიც გუნდთან ერთად იყვნენ წარმატების თუ წარუმატებლობის დროს. 21 - ე საუკუნეში ასეთი გამოჩენილი ფეხბურთელი სტივენ ჯერარდი. იგი „ლივერპულის“ კაპიტანია 2003 წლიდან და არის ლივერპულის ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელი.

მას ბევრჯერ შეეძლო კარიერის სხვა კლუბში გავრძელება, სადაც ბევრად მეტ ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ იგი გუნდისა და ქალაქის ერთგული დარჩა.

21 - ე საუკუნის „ლივერპულზე“ კი ის შეიძლება ითქვას, რომ მან დაკარგა ინგლისურ ფეხბურთში დომინანტის სტატუსი. მას ქვეყნის ჩემპიონობის რაოდენობით გადაასწრო და უძინებელმა მტერმა „მანჩესტერ იუნაიტემმა.“ „ლივერპული“ დღემდე რჩება ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბად ევროპის მასშტაბით მოგებული ტურნირების მიხედვით.

ბოლო წლები კი „ლივერპულს“ დიდ სახარბიელო ვერ გამოუვიდა. ისინი ვერ ხვდებოდნენ 4 წლის განმავლობაში ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე. წელს მათ ეს ტრადიცია დაარღვიეს, მაგრამ მათთვის გადაულახავი ბარიერი ჯგუფური ეტაპი აღმოჩნდა.



კლუბი თავდაპირველად დიდი წარმატებით არ გამოირჩეოდა და იყო საშუალო დონის. „ლივერპულის“ აღმავლობის წლები უკავშირდება ლეგენდარულ მწვრთნელს ბილ შენკლის, რომელიც 1959 წელს დაინიშნა ამ პოსტზე. შენკლიმ შეძლო და მეორე დივიზიონში გაყვარდნილი გუნდი პირველში გადმოიყვანა და შემდეგ ჩემპიონი გახდა. შენკლის გუნდის წარმატების მთავარი მიზეზი იყო ის ფსიქოლოგიური გარდაქმნა, რომელიც მწვრთნელმა ჩაატარა. შენკლიმ თავის ფეხბურთელებს აგრძნობინა, რომ ყოველ თამაშში მოსაგებად უნდა გასულიყვნენ, რადგან ისინი საუკეთესოები იყვნენ. ბილ შენკლის ცნობილი ფრაზაც ამ ყველაფერზე მოიუთითებს - „თუ შენ პირველი ხარ, ხარ პირველი, თუ შენ მეორე ხარ, შენ არაფერი ხარ“. სწორედ ამგვარი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების შედეგად შენკლიმ შეძლო და საშუალო დონის კლუბი უძლიერესად აქცია.

ცნობილი ფაქტია, რომ ბილ შენკლის ეკუთვნის რამდენიმე ძალიან ცნობილი და საინტერესო გამოჩენილი ფეხბურთის შესახებ, ასეთებია, მაგალითად: „მსაჯების პრობლემა ისაა რომ, მათ იციან წესები და არა თამაში“, „თუ შენ არ შეგიძლია გვიქომავო მაშინ, როდესაც ვაგებთ, ნუ გვიქომავებ მაშინ, როდესაც მოვივებთ“, „ზოგიერთები ამბობენ, რომ ფეხბურთი სიკვდილ-სიციხის საკითხია, მერწმუნეთ ფეხბურთი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს“. ბილ შენკლის საპატენსაცემოდ ენფილდ როუდის ერთ-ერთ კარიბჭეს სწორედ მისი სახელი ეწოდა და უშუალოდ ეწოდა კი მისი ძეგლი დგას.

შენკლის ნასვლის შემდეგ 1974 წელს გუნდი მისმა ასისტენტმა ბობ პირსლიმ ჩაიბარა. პირსლის სახელთან ასოცირდება „ლივერპულის“ ევროპული ტრიუმფი.

ბობ პისლი გახდა და დღემდე არის ერთადერთი ინგლისელი მწვრთნელი, რომელმაც ერთი და იგივე გუნდით შეძლო

15 აპრილს ჰილსბოროს სტადიონზე, სადაც იმართებოდა მატჩი „ნოტიუნგემ“ ფორესტსა და ლივერპულს შორის. მატჩის დაწყებამდე არასწორად მოხდა იმ ტრიბუნების განაწილება, სადაც გუნდების ფანები უნდა ყოფილიყვნენ. „ლივერპულის“ ფანები, რომლებიც რაოდენობით ბევრად აღემატებოდნენ ნოტიუნგემის ფანებს, გაანაწილეს პატარა სექტორში, ხოლო ნოტიუნგემის ფანები დიდში.

ამ ყველაფერმა და პოლიციის არასათანალო ქცევამ გამოიწვია ჭყლეტა სტადიონზე. ჭყლეტას და ქაოსს „ლივერპულის“ 96 გულშემოყვარებელი შეეწირა.

თავდაპირველად პოლიცია ყველაფერს „ლივერპულის“ გულშემოყვარებებს აბრალებდა. ცნობილია ინგლისურმა ჟურნალმა „The sun“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც „ლივერპულის“ ფანები მარადიურობაში და აღნიშნულ ტრაგედიაში დაადანაშაულა. ამან გამოიწვია ის რომ 25 წლის შემდეგაც ქალაქ ლივერპულში არ ყდულობდნენ ჟურნალ „The sun“-ს. „ლივერპულის“ თამაშებზე კი სხირად შეხვდებით ბანერს „Don't buy the sun (არ იყიდონ სანი)“.

ამ ტრაგედიას 23 წლის განმავლობაში „ლივერპულის“ გულშემოყვარებებს აბრალებდნენ, მაგრამ მათ ბოლომდე იბრძოლეს და 2012 წელს სასამართლომ გადაწყვეტილება მათ სასიკეთოდ გამოიტანა და დამნაშავედ პოლიცია სცნო. თვით ინგლისის პრემიერმინისტრმა მოუხადა ბოდიში „ლივერპულის“ ფანებს იმისთვის, რომ მათ 23 წელი ტყუილად ადამაშაულებდნენ ჰილსბოროს ტრაგედიაში.

„ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგის მე - 5 ტიტული მოიგო მატჩში, რომელიც ფეხბურთის გულშემოყვარს არასდროს დაავიწყდება და ბევრი ქომავლისთვის საუკეთესო ფინალია, რაც კი ოდესმე ჩატარებულა.

2005 წლის 25 მაისს სტამბულში, ათათურ-

# ფოტოგრაფიკაში უბრალო ოცნებები

ნინო 20 წლისაა, მას დიდი ხანია უნდა, რომ ბავშვთა სახლში მცხოვრებ ბავშვებს რამით დაეხმაროს. ერთ დღეს მან გადაწყვიტა ბავშვებს შეხვედეს და ჩვენს მიყვებით.

ბავშვები ეჭვის თვალით გვიყურებენ, ზოგი ამბობს, რომ არ უნდა მას ფოტო გადავუღოთ. გვეკითხებიან, თუ საიდან ვართ და რატომ მივედით.

ნინო ბავშვებს მიესალმა და აუხსნა, რომ ის სტუდენტია და თავის სტუდენტ მეგობრებთან ერთად უნდა მათ დაეხმაროს და სურვილები აუხსნა. თუმცა, ბავშვებს თავიდანვე აუხსნა, რომ ის არ არის რომელიმე კომპანიის წარმომადგენელი, არც ბიუჯეტი აქვს და რასაც შეძლებდა მაქსიმალურად დააკმაყოფილებდა მათ სურვილებს.

საც აღარ გაურბოდნენ.

ამ ლულრჯთვალეება ფერიას ანი ჰქვია, ის 11 წლისაა და უნდა ბალერინა გამოვიდეს. მორიდებულად გვეკითხა, შეიძლება, მართლა დავწერო, რა მინდა? მას როლიკები უნდა რომ ჰქონდეს.



ხვიჩა მალე 12 წლის წლის გახდება და გვითხრა, თუ ჩემს დაბადების დღეზე მოხვალთ, ძალიან გამიხარდებაო, მასაც, როგორც ბიჭების უმრავლესობას, ფეხბურთელობა უნდა და სურვილებიც შესაბამისი აქვს. უნდა, რომ ოცლარიანი ბურთი ჰქონდეს, „აირ მაქსები“, ბუცი და ბარსელონას ფორმა.

15 წლის ნინოს უნდა ინტერიერის დიზაინერი ან ფსიქოლოგი გახდეს. ის ზოგჯერ ბევრ ფულსა და მანქანაზე ოცნებობს, თუმცა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სურვილია



მე მინდა გამოვიღო ინტერვიუ რიპი...  
და ან შევქოძა ვსტუდია. მ  
მოვალ მოვხმობ ხა მქონეს  
წნაბიჯლი, მანქმა, მაგამ  
მეათის ფულა მამშველიანი  
სუხელო, ხომ იყოს ფულ  
ყოვდივს ხომშედა და ქიმშიანს  
დავინება. ახლა მე მინდა ეს პი


ყოველთვის სიმშვიდე იყოს და ერთმანეთს უსმენდნენ ადამიანები.

ელენე 14 წლისაა, იურისტი ან ექიმი უნდა იყოს მომავალში, თუმცა ამბობს, რომ მომავალზე ჯერ არ ფიქრობს სერიოზულად და მისი მთავარი მიზანი სწავლაა. „ახლა არაფერი ისეთი არ მინდა, მაგრამ როგორც სურვილი ალბათ ტანსაცმელია“.



მე მინდა გამოვიღო უკლი, მაგამ  
ქუჩა-ქუჩობით დახმენ, პულო  
სი ვაჩ, მაგამ ჩაბაბა მინა  
უკლივს ან სტუდიაში. ახლა  
ჩემი მიზანი არ სწავლა და მოხვალს  
ქუჩა-ქუჩობით ან ვაჭარში. ახლა  
მეათის ფულს მინდა, მაგამ ჩემი  
სუხედა ახლაოცნასაქმდა  
ელენე მაგალია

ბავშვები სურვილებსა და მიზნებზე გვესაუბრნენ, გამომშვიდობებისას კიდევ ერთხელ გვითხრეს, ხომ კიდევ მოვხვალთო, ჩვენს მისვლას



დავპირდით.

მათი სურვილები, მართლაც, არც თუ ისე რთული ასასრულებელია, მათი გახარება დიდ თანხებს არ უკავშირდება, პატარა გოგონებს სათამაშოები, ანიმატორების ნახვა და თოჯინები, ბიჭებს კი ბურთები, ბუციები და ფეხბურთთან დაკავშირებული



ნივთები უნდათ.

„ფეისბუქზე“ მთავარმა ორგანიზატორმა გახსნა გვერდი, სადაც მოიწვია სხვა სტუდენტებიც, ბევრმა



მათგანმა გამოთქვა დახმარების სურვილი. ამ დროისთვის სათამაშოები, ტანსაცმელი და ჰიჯინის ნივთები მოაგროვეს, ისინი კვლავ აგრძელებენ კამპანიას და აპირებენ ამ ბავშვების გახარებას.

დავით გრატიამილი  
ფოტო: დავით გრატიამილი



ისმოდა ბავშვების შეკითხვები, ჩვენ დაგვეხმარებით, თუ ბავშვთა სახლს?

ნინო: „რა თქმა უნდა, თქვენ. ჩვენ თქვენთვის მოვედით აქ და გვინდა, რომ გავიგოთ თქვენი სურვილები და ვეცდებით შევისრულოთ“.

ბავშვებმა წერა დაიწყეს, მანამდე ცოტაც ვისაუბრეთ, კონტაქტზეც გამოვიდნენ და უკვე ჩვენს აპარატ-



**ტელეგრაფი**

**ჩედაქცია**

მთავარი რედაქტორი :  
ბადრი კობიაშვილი

რედაქტორი :  
ლიანა ლომიძე,  
თორნიკე მალლაკელიძე

მთავარი სპეციალისტები :  
თმარ მალლაკელიძე,  
ბაია კუბლაშვილი

დამკაბადონებელი :  
გიორგი ხოჯაშვილი  
სალომე თინიკაშვილი

ტექნიკური რედაქტორი :  
ია რუსიშვილი, გიორგი ხოჯაშვილი,  
ვერიკო ველაშვილი, ნინო ტვილდიანი,  
ვაჟა მათიაშვილი, ეკა გულორდავა

სტილისტ - კორექტორი:  
ნინო ბეზარაშვილი

ანა ასანიძე, ხატია გოგრიჭიანი, ლიკა  
ნობაძე, თამარ მალლაკელიძე მარი  
მოსულიშვილი, ნინო გვასალია,  
ფოტოკორესპონდენტი :  
მარიამ ბოვერაძე, მარიამ გაბისონია

დიზაინერი :  
გიორგი ხოჯაშვილი,  
დავით მსახურაძე

**შურნალისტები**

ბაჩო ადამია  
დავით გრატიამილი  
ნათია დეკანოიძე  
თორნიკე რევაია  
ნია პატარაშვილი  
მარიამ მურაჩაშვილი  
ნინო ოთარაშვილი  
თინათინ ჩიტაძე

**ხელმძღვანელი :**

ასოცირებული პროფესორი  
მაია ტორაძე

მის: ჭავჭავაძის №8

ტელ : 598 37 08 41